# თავისუფალი საქართველო

№ 12

9 - 15 აპრილი

1996 წ.

ფასი 30 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## 9 აპრილი - ვნების კვირის კიდევ ერთი მისტერია

9 აპრილი ვნების კვირაში, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის - აღდგომის მოლოდინში დგება.

ასეთი კრებითი და ერთგვარად შემაჯამებელი აკორდით იწურება სუსხიანი, გაუსაძლისი და დროში უმოქმედოდ გაწელილი სევდიანი ზამთარი.

მოდის გაზაფხული - იმედიანი, განახლების მოლოდინით აღსავსე. წლების მდინარებაში ერთგულებითა და სასოებით, მსხვერპლითა და თავგანწირვით გასპეტაკებული ქართველი ერი გამოუთქმელი ტანჯვის ფასად თავისი ქვეყნის წინაშე ინანიებს უღირს თანამემამულეთა ცოდვებს და აღდგომასთან ზიარებისთვის ემზადება.

შეუპოვარია მისი ნება. მარად მფეთქავი ეროვნული ენერგია, მართალია, ძველებური აზვირთებით აღარ ეფინება ქვეყანას, მაგრამ სადღაც, ერის მეხსიერებაში გროვდება, საკრალიზდება და იმ შესაფერის წამს ელის, რომელიც მის დიად წარსულს და მომავალს აწმყოთი შეაჯამებს.

საქართველო ელოდება მომავალს. ამ ერმა შეძლო თავისი ისტორიის ფურცლებზე არაერთი ისეთი თარიღის შექმნა, რომელის მიღმაც მთელი ეპოქა, ერის სულიერი განწყობა და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ იგულისხმება. მისი მნიშვნელობა სცილდება ისტორიული თარიღების ქრონოლოგიურ სიას და თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იქცევა დღე-სასწაულად, შემდეგ კი მისტერიად.

წლების მანძილზე ხდება ისე, რომ ჟამთასვლის კანონზომიერება ამ მისტერიალურ თარიღებს ერთად უყრის თავს. მაშინ კი ერთიანი ძალით შეუტევს ხოლმე ქვეყნად არსებულ ბოროტებას ის ღვთაებრივი ენერგია, რომელიც ერისგან თუ პიროვნებებისგან გაღებული მსხვერპლის, თავგანწირვის, განსაცდელისა და ვაების საუკუნოვანი ტრანსფორმაციაა და ის საჩუქარია, რომელიც მხოლოდ ზნეობრივ პრინციპებს დაფუძნებულ ერს ეკუთვნის გაღებული მსხვერპლის საფასურად.

ასე იმარჯვებს მარადისობაში ზნეობრივი თუ ისტორიული სიმართლე სივრცესა და დროზე. იმარჯვებს იმიტომ, რომ ჩვენში თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაღებული მსხვერპლის: მიტინგებზე დახვრეტილი ბავშვების, სამშობლოს სიყვარულისთვის სიკვდილმისჯილი პატიმრების, წამებულებისა და დევნილების ფენომენი არსებობს იმ საუკუნეში, როდესაც მთელი მსოფლიოს ენერგია მიმართულია გართობების, კომფორტის და გამდიდრების მექანიზმების ძიებისკენ.

დღეს მძიმე და სახიფათო განსაცდელის წინაშე მდგარი საქართველო - დაქუცმაცებული, შეგინებული, უპატრონოდ დატოვებული, წარმავალობის სისასტიკით გარემოცული - ქრისტიანული სასოებით ელოდება აღდგომას, რომელიც ერთადერთი გზაა სიკვდილის დამარცხებისა.

*ქეთევან ქურდოვანიძე.*

## თქვენი და ჩვენი შვილების სიკვდილში დამნაშავეა შევარდნაძე

ერთ თვეზე მეტია, რაც გაზეთებისა და ტელევიზიის მეშვეობით თვალყურს ვადევნებთ სასამართლო პროცესს ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას, სოსო ელენტის, ზვიად ძიძიგურის, ნუგზარ მოლოდინაშვილის მიმართ. ფაქტობრივად, ასამართლებენ არამარტო მათ, არამედ ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას... ყველას, ვინც კანონიერებისა და სამართლიანობისთვის, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ასამართლებენ ჩვენს დაღუპულ შვილებსაც, მეუღლეებსაც. ხელისუფლებისგან, რომელიც ძალადობით, ქართველთა სისხლის ღვრით მოვიდა, ასეთი სასამართლო პროცესის გამართვა ახალი არ არის და, ამდენად, არც გასაკვირია, მაგრამ გასაკვირია იმ დედებისა და მეუღლეების საქციელი, რომლებიც დაზარალებული მოწმეების სახით გამოდიან სასამართლო პროცესზე და თავიანთი შვილების, მეუღლეების სიკვდილში ადანაშაულებენ უდანაშაულო ადამიანებს.

ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ უსაზღვროა შვილმოკლული დედების მწუხარება, მაგრამ თვით უსაზღვრო მწუხარებამაც არ უნდა წაშალოს ჩვენში სამართლიანობის გრძნობა, არ უნდა წაგვართვას განსჯის უნარი ისე, რომ ვერ გავარჩიოთ და ვერ გავერკვეთ, თუ ვინ არის ნამდვილი დამნაშავე და მიზეზი ჩვენი უბედურებისა.

ჩვენი შვილებიც სამეგრელოში მოკლეს. ისინი დაიღუპნენ არა ვინმე გადამთიელი მტრების, არამედ იმ ქართველების ხელით, რომლებიც ე.წ. სამთავრობო ჯარების, "მხედრიონის", თუ სხვა შეიარაღებული ბანდების სახით არაერთგზის შემოესივნენ საქართველოს. მათ შორის იყვნენ იმ დედების შვილებიც, რომლებიც დღეს სხვებს აბრალებენ თავიანთ უბედურებას. ვეკითხებით მათ:

რატომ არ აღუდექით წინ, რატომ გამოუშვით თქვენი შვილები სამეგრელოს დასალაშქრავად, ხალხის დასახოცად, გასაძარცვად? თუ ძალით ან მოტყუებით წამოიყვანეს, მაშინ რას ერჩით სამეგრელოს, რას ერჩით ზვიად გამსახურდიას, ან ლოთი ქობალიას?! პასუხი მოსთხოვეთ ე. შევარდნაძეს, ჯ. იოსელიანს, თ. კიტოვანს, თ. სიგუას... მათ, ვინც ისინი რუსული იარაღით აღჭურვა და ჩვენი შვილებისა და მეუღლეების, ძმებისა და დების მოსაკლავად, კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განსადევნად გამოუშვა.

მოგმართავთ და მოგიწოდებთ: ნუ იქნებით დანაშაულებრივი ხელისუფლებისა და მისი ნების აღმსრულებელი ე.წ. მართლმსაჯულების ბრმა იარაღი. დაგვერწმუნეთ, თქვენი და ჩვენი შვილების სიკვდილში დამნაშავეა ე. შევარდნაძე და მისი ხელისუფლება. ის არის მიზეზი ყველა ჩვენი უბედურებისა და მთელი პასუხისმგებლობა ჩვენსა და ღვთის წინაშე სწორედ მას ეკისრება.

ასევე მივმართავთ და მოვუწოდებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიას - თუ მართლაც თემიდის მსახურია და არა ე. შევარდნაძისა, ბოროტად ნუ სარგებლობს შვილმოკლული დედების უბედურებითა და სულიერი გაუწონასწორებლობით, ნუ იყენებს მათ სხვათა დასაპირისპირებლად. თუ თქვენ მართლაც გსურთ ჭეშმარიტების დადგენა, ნამდვილი დამნაშავეების მხილება, მოგვეცით საშუალება ჩვენ, შვილმოკლული დედები, დავესწროთ სასამართლო პროცესებს და დავიკითხოთ, როგორც მოწმეები.

კახა და თემურ ვაწაძეების დედა - ციალა ვაწაძე.

გოჩა ლომიას დედა - ლენდო ჭითანავა

ჯემალ ნაპოლეონის ძე კარტოზიას მეუღლე - ა.ქარდავა

შაქრო ბიქტორის ძე შიშინაშვილის მეუღლე - ბარგაია

ნინო ვლადიმერის ასულ ფუტკარაძის დედა - სამუშია ლიდა

პაპუნა ავთანდილის ძე თოდუას მამა - ავთანდილ მიხას ძე თოდუა

თენგიზ ივანეს ძე არახამიას მეუღლე - ნანი წულაია

ხვიჩა ვახტანგის ძე მანდარიას დედა - ეთერ მანდარია

როინ ხუხუტის ძე დარსანიას მეუღლე - მზია თოდუა

თემურ ვარლამის ძე შამათავას მეუღლე - ორდანია რუსუდანი

გელა სულიკოს ძე ესებუას დედა - ქობალია მერი

რომან პალიკოს ძე კორკელიას დედა - ჯიქია ნანა

ვახტანგ სარდიონის ძე თორდიას მეუღლე - თორდია ნატო

ნიკოლოზ სერაპიონის ძე თორდიას მეუღლე - თორდია ლიანა

ზაზა ნოდარის ძე პერტახიას დედა - მაყვალა პერტახია

გოჩა ჭიჭიკოს ძე ჯიქიას მამა - ჭიჭიკო ჯიქია

რამაზ პროკოფის ძე როგავას დედა - ნათელა როგავა

ნუგზარ რუბენის ძე ძვაბავას მეუღლე - ცაავა ქეთინო

ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავას მეუღლე - ქოჩუა იზოლდა

მამუკა ადიკოს ძე ქარდავას დედა - ქარდავა ციური

## აფხაზეთი კვლავ გათამაშებაშია

ბოლო პერიოდში, სწორედ 31 მარტის რეფერენდუმისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღის მოახლოებასთან ერთად, აფხაზეთის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა შევარდნაძის ხელისუფლებისთვის. დავიწყოთ იმით, რომ აფხაზეთის თემამ მეტად სპეციფიკურ კონტექსტში გაიჟღერა მოქალაქეთა კავშირის მიერ დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ხუთი წლისთავის პომპეზური აღნიშვნისას, ოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დამამხობლებმა განაცსტრუქტურებშიც მოიძიეს. განსაკუთრებული ეფექტი ჰქონდა ი. ბათიაშვილის გამოსვლას რუსეთის სამხედრო სპეცსამსახურების სტრატეგიული გეგმის თაობაზე, რომლის თანახმად, მათ წინასწარ დაგეგმილი ჰქონიათ ყველაფერი - ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის ჩათვლით - და, თურმე, მის განხორციელებაში თანაბარი ენთუზიაზმით მონაწილეობდა როგორც დამხობილი, ისე ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა. მიზანი - შევარდნაძის დამხობა, ან მისი ხადეს, რომ ემიჯნებიან სსრკ-ს რეანიმაციის მცდელობას და არ დაუშვებენ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფას(?!). შევარდნაძემ ფიციც კი დადო და, სხვათა შორის, თქვა - "ვინც არ უნდა მოვიდეს რუსეთის ხელისუფლებაში, თვით ჩემი მეგობარი ლიგაჩოვი, რომელიც თქვენ, ვიცი, ძალიან გიყვართ (ცხადია, ნათქვამია მწარე ირონიით - რედ.), აფხაზეთი დარჩება საქართველოს შემადგენლობაში."

ამ განცხადებაში, თავისთავად, არაფერია დამაიმედებელი და არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს მთქმელს. რას ნიშნავს, დარჩება საქარიველოს შემადგენლობაში - ისევე, როგორც ახლაა დარჩენილი? ან, იქნებ, ლიგაჩოვი იმაზე მეტად წაგვართმევს აფხაზეთს, ვიდრე ახლა გვაქვს წართმეული? ხოლო თუ ყველაფერი ისევ ისე დარჩება, მაშ რას გვპირდება შევარდნაძე?

გრაჩოვის ვიზიტის დროს საუბარი შეეხო ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ჯარის სტატუსს ენგურს იქით. ამას მოჰყვა აფხაზეთის საკითხის განხილვა პარლამენტის სესიაზე და აფხაზეთიდან დევნილთა ყრილობის ჩატარება. ეს ორივე ღონისძიება, ნებსით თუ უნებლიეთ, ეხმიანებოდა ერთმანეთს, უპირველესად, დამნაშავეთა მხილებისა და სამშვიდობო ჯარის მოქმედებების ნეგატიურად შეფასების პათოსით.

როგორც პარლამენტარებმა, ისე ყრილობის ინიციატორებმა გამოთქვეს სურვილი "ღრმად გააანალიზონ აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზები". ეს უკანასკნელნი, აგრეთვე, მიზნად ისახავენ ლტოლვილთა კონსოლიდაციას, სამომავლო მოქმედების სტრატეგიული გეგმის დასახვას და დევნილთა ინტერესების გამომხატველი "საგანგებო მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნას". შეინიშნებოდა უკმაყოფილება აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების საქმიანობით და ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგვარი ოპოზიციური განწყობილებაც. მიუხედავად ამისა, ტყუილისა და სიმართლის, ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტების კოქტეილი, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ დასახული ძირითადი მიმართულება - ყველაფერში დამნაშავენი ისევ ჩვენ ვართ - ჰბადებდა შთაბეჭდილებას, რომ ყრილობა მოწოდებულია მომგებიანი ფონი შეუქმნას პარლამენტის სესიას.

ამ დროს კი პარლამენტში მოღალატეთა სიებს აქვეყნებდნენ. გენერალური პროკურორის - ჯ. ბაბილაშვილისა და მისი მოადგილის - ა. ბალუაშვილის გამამტყუნებელი გამოსვლა ძირითადად ამხელდა საქართველოს კანონიერ პრეზიდენტსა და მის მომხრეებს - უკვე განსჯილებსაც, განსასჯელებსაც და დასაპატიმრებლებსაც. ხალხის "რჩეულნი" კიდევ უფრო შორს წავიდნენ და მოღალატენი სამთავრობო იძულება საქართველო შეეყვანა დსთ-ში.

ცხადია, ყველაფერი ეს ძველია, მაგრამ ინტერესს იწვევს ერთი კითხვა - რისთვის დასჭირდა შევარდნაძეს ამ საკითხების ამოტივტივება და აქტუალიზება სწორედ ახლა?

ზოგანი ამას რუსეთში მიმდინარე მოვლენებითაც ხსნის - თითქოს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში ზიუგანოვის გამარჯვების საფრთხე იძულებულს ხდის შევარდნაძეს, მოახდინოს პოლიტიკური კურსის კორექტირება და უფრო საიმედო საყრდენი ეძიოს დასავლეთში. სწორედ ამისთვის ხდება საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ყველაზე აქტუალური პრობლემის - აფხაზეთის საკითხის - გარშემო და დევნილთა აქამდე ინერტული მასის მართვადი ნაწილის ორგანიზება.

მაგრამ არის სხვა მოსაზრებაც: მიმდინარე პოლიტიკური სასამართლო პროცესებისა და მომავალი საიუბილეო თარიღების ფონზე, ქვეყანაში არსებული ობიექტური ვითარების გამო, ხელისუფლებისა და, კერძოდ, შევარდნაძისადმი ნდობის კოეფიციენტი მინუსების შკალაზე ინაცვლებს. საერთო სტაბილიზაციის იდეამ ვერ გაამართლა - დღევანდელი უმძიმესი სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო არაფრით არ აღმოჩნდა შეიარაღებულ განუკითხაობაზე და, მით უფრო, გამსახურდიას დროინდელ "დიქტატურაზე" უკეთესი. უზენაეს სასამართლოს იოლად გამოაქვს განაჩენი კანონიერი ხელისუფლების მომხრეთათვის, მაგრამ მის სამართლიანობას ვერ ხდის საზოგადოებისთვის სარწმუნოდ. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შევარდნაძისთვის, რომელიც ვერაფრით თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან "აფხაზეთის ომის ღირსეულად დამთავრებისთვის". ამასთან, ინტერესთა შეჯახება შეიმჩნევა თვით მმართველი კლანის, კერძოდ, მოქალაქეთა კავშირის ძველ და ახალ თაობებს შორის. საზოგადოებაში დღითი დღე იზრდება ნეგატიური მუხტი და, ამ მხრივ, აფხაზეთის პრობლემა ერთ-ერთ უმთავრეს კატალიზატორს წარმოადგენს.

ამიტომაც, გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, ოფიციოზური სტრუქტურები ცდილობენ, მართვადი გახადონ შესაძლო პროცესები, საზოგადოებრივ ემოციებს მისცენ ხელოვნურად შექმნილ სიტუაციებში გამოვლენის საშუალება და ყალბი ილუზიების ახალ სქემაში მოაქციონ ვითარება. ერთი სიტყვით, შეიარაღებული პროვოკაციების ნაცვლად, გვთავაზობენ ფსიქოლოგიური დივერსიების ახალ სერიალს, რაც აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში, შესაძლოა, მორიგი შეიარაღებული პროვოკაციის წინაპირობადაც იქცეს.

*რომანოზ საგინაშვილი*

# ნავთობმაგისტრალის ავტონომიური რესპუბლიკა

**2 აპრილის სხდომაზე პარლამენტმა მოახდინა "საუკუნის პროექტის" რატიფიცირება. ასე რომ, საქართველო შეუდგა "ჭეშმარიტად სატრანზიტო ქვეყნისკენ" მიმავალ გზას.**

ერთი დღით ადრე ეს მართლაც უნიკალური სხდომა საპირველაპრილო გასართობ შოუდ იქნებოდა აღქმული, თუმცა თავად ის პრობლემები, რომლებიც ნავთობმაგისტრალის პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პაკეტის (ხელშეკრულებები საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, აგრეთვე საქართველოსა და ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმს შორის - მილსადენის რეკონსტრუქციის შესახებ და ტერიტორიის მფლობელი სახელმწიფოს შესახებ) განხილვისას წარმოჩინდა, სულაც არ არის სახუმარო. ამას აღიარებს თავად მმართველი "მოქალაქეების" ინტელექტუალური ავანგარდი. პარლამენტს, რომელსაც წართმეული ჰქონდა ხელშეკრულებებში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება, დაევალა ხელმოწერისთანავე ძალაში შესული დოკუმენტების რატიფიცირება. თავად ეს ფაქტი მეტყველებს აღმასრულებელი შტოს მომხმარებლურ დამოკიდებულებაზე უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსადმი. ამდენად, პარლამენტმა მხოლოდ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება ხელშეკრულებების მიმართ და მათი მიღებით, რეალურად, იტვირთა შევარდნაძეზე დაკისრებული პასუხისმგებლობის წილი.

მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდა გვარდიის სასახელოდ უნდა ითქვას - მათ თამამად დააფიქსირეს, რომ ეს ხელშეკრულებები სარგებლობს უზენაესობის პრინციპით არა მხოლოდ საქართველოს კანონებზე და თვით კონსტიტუციაზეც, არამედ საერთაშორისო ნორმებსაც კი ეწინააღმდეგება. ამიტომ, შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტებმა იზრუნეს ხელშეკრულების "ბარბაროსული" შინაარსისთვის ცოტაოდენ "ცივილიზებული" იერი მიეცათ და შეთხზეს ცალკე კანონი, რომელიც, იმედოვნებენ, დაარეგულირებს ამ სამართლებრივ ბაკქანალიას.

ციტატა ნინო ბურჯანაძის გამოსვლიდან:

"სამწუხაროდ, ამ დონეზე ხელმოწერილ დოკუმენტში უკვე არანაირი ცვლილების შეტანის შესაძლებლობა არა გვაქვს. ცვლილება რომ შეგვძლებოდა, სხვა რამესაც გავასწორებდით. (...) ვინაიდან არის მსგავსი შეუსაბამობა კონსტიტუციასთან და რიგი სხვა პრობლემები, ჩვენ ამიტომ შევეცადეთ ეს კომპრომისული ვარიანტი მოგვეძებნა. ამიტომვე დავაფიქსირეთ კონსტიტუციის უზენაესობა. - რა თქმა უნდა, გეთანხმებით, შეიძლება ცოტა ფორმალურად გამოგვივიდა. მაგრამ თუნდაც ეს ფორმალური, ან ნაწილობრივ ფორმალური მუხლი შეტანილი იქნა, რათა ჩვენ კონსტიტუციასთან შეუსაბამო დოკუმენტი არ მიგველო. ამიტომ კონსიტიტუციასთან ეს შეუსაბამობა გამოვიტანეთ კანონში და დავაფიქსირეთ - რა დებულებებში და მუხლებშიც აღნიშნული ხელშეკრულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, იქ მოქმედებს საქართველოს კონსტიტუცია. (...)

პრინციპი "ხელშეკრულებები შესრულებული უნდა იყოს", ფაქტიურად, არ ვრცელდება ამ ხელშეკრულებაზე და ეს მუხლი, ფაქტიურად, აბსოლუტურად ტყუილად დევს. დაახლოებით დღენახევარი დაგვჭირდა იმისთვის, რომ ჩაგვესვა სიტყვები საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპებისადმი შესაბამისობის შესახებ."

როგორც გაირკვა, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს არ გააჩნია რაიმე დამცველი მექანიზმი. შალვა ნათელაშვილის თქმით, "საერთაშორისო სასამართლო ვერ მიიღებს სარჩელს, ვინაიდან ეს არ არის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რაკი მხოლოდ ერთი მხარეა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი (იგულისხმება საქართველო - რედ.), დანარჩენი ტრანსნაციონალური კორპორაციებია. მიმაჩნია, რომ ესეც შეუსაბამობაა ვენის 1969 წლის კონვენციასთან და ამას ვაფიქსირებ."

პარლამენტარებმა დააფიქსირეს ისიც, რომ, ხელშეკრულების თანახმად, ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი და კონტრაქტში მონაწილე კომპანიები სარგებლობენ განსაკუთრებული პრივილეგიებით: არა მხოლოდ განთავისუფლებულები არიან სხვადასხვა გადასახადებისგან (მუხლი 9), არამედ ბეგარისგან "მათ მიერ შეძენილი საქონლის, სამუშაობისა და მომსახურეობის იმპორტზეც კი" (მუხლი 5).

შესანიშნავად ჟღერს მუხლი 4.4., რომლის თანახმად, "მთავრობა იხმარს შესაძლო ძალისხმევას, რათა საუკეთესო პირობებით გადასცეს მიწები, საქონელი და ა. შ., რომელიც არ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში ან მთავრობის მართვა-გამგეობის ქვეშ", ანუ საქართველოს მოსახლეობის კერძო საკუთრება. დასადგენია მხოლოდ, რა მეთოდებს გულისხმობს ჩვენი მთავრობის შესაძლო ძალისხმევა - მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევას თუ საჭიროების შემთხვევაში გაკულაკებასაც?!

პარლამენტმა დააფიქსირა ისიც, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ბუნების, გარემოსა და მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის სათანადო გარანტიებს. გათვალისწინებულია მხოლოდ ზარალის მატერიალური ანაზღაურება და ეს დებულებაც უშვებს გამონაკლისს იმ შემთხვევებში, "როცა საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, კომპანია თავისუფლდება" (მუხლი7) ამ ვალდებულებისგან.

ციტატა გია გაჩეჩილაძის გამოსვლიდან:

"მე შევდიოდი სამთავრობო კომისიაში, რომელიც მოქმედებდა 1993 წელს მილსადენებთან დაკავშირებით. დავიარეთ მთელი ტრასა, ვნახეთ დამწვარი სოფლები, განადგურებული ოჯახები, ხანძარი მილსადენზე - ასეთი რამ ფანტასტიკურ ფილმებშიც არ მინახავს. ესაა საშინელება, ხანძარი, რომელსაც ელემენტარულად ვერ აქრობენ."

ხელშეკრულებაში არაფერია თქმული ისტორიულ ძეგლთა დაცვის შესახებ, რაც პარლამენტმა ასევე დააფიქსირა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია (საქართველოს ალკკ ყოფილი მდივანი) გაითვალისწინებს ამას და სხვა საკითხებს. ასე რომ, თავის მხრივ, პარლამენტმა პასუხისმგებლობა ჭანტურიას გადააბარა.

ამ უკანასკნელის ორაზროვანი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პასუხები კიდევ უფრო ამძაფრებდა შეშფოთებისა და გაურკვევლობის გრძნობას. მიუხედავად დიდი დაპირებებისა, - "ამ პროექტში დაბანდებული ყოველი დოლარი ექვს დოლარს მოიზიდავს"... "შეიქმნება სამუშაო ადგილები, ინფრასტრუქტურა" და ა.შ., კონსორციუმის პრეზიდენტი არადამაჯერებელი ჩანდა. მისი მღელვარე ფრაზა - "ეს პროექტი საშუალებას აძლევს საქართველოს ჭეშმარიტად გადაიქცეს სატრანზიტო ქვეყნად", იქვე ჩაძირა ერთ-ერთი დეპუტატის კომენტარმა: "სატრანზიტო ქვეყანა - ეს ბევრი ქვეყნისთვის სამარცხვინო სიტყვაა. გაჭირვებას რა უთხარი, თორემ არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა ასეთ ნაბიჯზე არ წავიდოდა."

კომპრომისების გასამართლებლად ბოლოს ისიც კი ითქვა, ჩვენ კალთებს არავინ გვაგლეჯდა და კონსორციუმის მიერ დასავლეთის მარშრუტის არჩევაც ჩვენი დიპლომატიის დიდი გამარჯვებააო. ასე რომ, "დიდი დიპლომატის" პერსონალური ნიჭიერება საქართველოს ბუნებრივ გეოპოლიტიკურ მგომარეობაზე ძვირადღირებულ კაპიტალს წარმოადგენს. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ საქართველოს ოფიციოზის მიერ თვეების მანძილზე წარმოებული პროპაგანდა იმაში გვარწმუნებდა, რომ სწორედაც კალთებს გვაგლეჯდნენ, მაგრამ რუსეთი გვიშლიდა ხელს, რადგან ნავთობმაგისტრალი საქართველოს აყვავებას შეუწყობს ხელს.

ასეთ ფსიქოლოგიურ ფონზე, უფრო ურჩი პარლამენტიც კი ვერ გაბედავდა არაკონსტიტუციური და არასამართლებრივი ხელშეკრულების რატიფიცირებაზე უარის თქმას იმის შიშით, რომ მილიონი სამუშაო ადგილის დაკარგვაში დასდებენ ბრალს.

როგორც ვხედავთ, ამ ხელშეკრულებით საქართველოში, ფაქტობრივად, იქმნება ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი - და ნათელია ისიც, რომ შევარდნაძის მთავრობა მოუხმობს შესაძლო ძალისხმევას, რათა საუკეთესო პირობებით გადასცეს მას თუნდაც მთელი საქართველო.

*ანა ჭავჭავაძე*

# ჩეჩნეთში ომი გრძელდება

31 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების "ახალი გეგმა" წარმოადგინა. კრემლის კედლებში საზეიმოდ გაისმა ბ.ელცინის მჭექარე ხმა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ...

... ხოლო იმ დროს, როცა კრემლის მესვეურები მქუხარე ოვაციებს უმართავდნენ "მშვიდობისა" და "კაცთმოყვარეობის" გუნებაზე დამდგარ პრეზიდენტს, რუსეთის ფედერალური ჯარები აგრძელებდნენ ჩეჩნური სოფლების, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას.

რუსეთის ხელისუფლება დღესაც უტიფრად აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედებები შეწყდა, რომ მზად არის მოლაპარაკება აწარმოოს ჯოჰარ დუდაევის მომხრეებთან. საამისოდ უკვე "შუამავლებიც" გამოუძებნიათ - ყაზახეთისა და თათრეთის რესპუბლიკათა პრეზიდენტები. შესაძლოა, მათთან ერთად მოლაპარაკებებში სხვა მუსლიმანურ სახელმწიფოთა ლიდერებმა, აგრეთვე რუსმა სამართალდამცავებმა - ე. ბონერმა, ი. ორლოვმა და ს. კოვალიოვმაც მიიღონ მონაწილეობა. ერთი სიტყვით, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება დამაჯერებელი გახადოს თავისი სამშვიდობო მოღვაწეობა, რომელიც, სინამდვილეში, ისევ ჩეჩნეთის სუვერენიტეტისა და ჩეჩენი ხალხის განადგურებისკენაა მიმართული. პარალელურად კი იბომბება ვედენო, ბენო, გაისკოე...

რუსეთის "სამშვიდობო პროგრამის" ჭეშმარიტი არსი წარმოჩინდა ვ. ჩერნომირდინის განცხადებაშიც - მშვიდობიანი შეთანხმება ძალაში რჩება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს საომარი მოქმედებების გაგრძელებას "ტერორისტებისა" და "ბანდფორმირებების" გასანადგურებლად. ეს განცხადება არაფრით განსხვავდება რუსეთის თავდაცვის მინისტრის პ.გრაჩოვის პოზიციისგან - სამშვიდობო პროცესები გაგრძელდება, მაგრამ მკაცრ ზომებს მივიღებთ იმ ურჩი სოფლების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებასო.

როგორც ვხედავთ, ეს "ახალი" გეგმა, რომელიც 31 მარტს იშვა კრემლის კედლებში, განსაკუთრებულს არაფერს ამბობს რუსეთის ხელისუფლების პოზიციაზე, პრობლემების მოგვარების მისეულ მეთოდებზე. რუსეთმა თავისი მთავარი მიზანი, რომელიც ჩეჩენთა მაქსიმალურად შევიწროებას, მათ საბოლოო გატეხვას და ამის შემდეგ "სამშვიდობო" პროცესების დაწყებას ითვალისწინებდა, ვერ შეასრულა. ფედერალურმა ჯარებმა აღნიშნული გეგმის გამოქვეყნებამდე გაანადგურეს უამრავი ჩეჩნური სოფელი, მშვიდობიანი მოსახლეობა, მაგრამ ჩეჩენთა წინააღმდეგობის შესუსტება ვერ მოახერხეს და, ამდენად, ვერ მოამზადეს ის ფონი, რომელიც 31 მარტის გეგმის ჭეშმარიტ არსს მიჩქმალავდა.

მსოფლიოს დემოკრატიული წრეები, პოლიტიკური მიმომხილველები დღეს ირონიას ვერ მალავენ ამ მორიგი მოსკოვური ფარსის მიმართ (ისინი განსაკუთრებით "გაამხიარულა" ელცინის მიერ გაგზავნილმა დეპეშებმა დუდაევისა და ზავგაევისადმი, რომელთაგან პირველზე - ძებნაა გამოცხადებული, ხოლო მეორე - მოსკოვში, თავად ელცინის კაბინეტში ათენ-ალამებს).

მიმდინარე პროცესისადმი თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებმაც. 6 აპრილს, მოსკოვში გამართულ მრავალრიცხოვან მიტინგზე, გ. იავლინსკიმ ელცინის გეგმას ფარსი უწოდა, გორბაჩოვმა ომის შეწყვეტისკენ მოუწოდა ხელისუფლებას, ხოლო გენერალმა ლებედმა განაცხადა, რომ რუსეთის არმია ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის მძევლად იქცა.

... ჩეჩნეთში კი ომი გრძელდება. რესპუბლიკის ხელისუფლება, ზოგიერთი "გამოცდილი" და "ყოვლისმცოდნე" პოლიტიკოსისგან განსხვავებით, თავს არ იტყუებს ფუჭი იმედებით, რუსეთის დაპირებებით არ კვებავს თავის ხალხს. მას არც ის "პატივი" ხიბლავს, რომ ელცინი მოლაპარაკების გამართვას აპირებს აქამდე ბანდიტად, ტერორისტთა მეთაურად, კრიმინალად შერაცხულ ჩეჩნეთის პრეზიდენტთან... ისინი არც ნაირ-ნაირ დელეგაციას აგზავნიან მოსკოვში "სიმართლის საძიებლად", არც იმაზე იმტვრევენ თავს, რა სტატუსი მიანიჭონ სამტროდ შემოსულ ჯარს და, როცა ქვეყანა ისევ ცეცხლის ალშია გახვეული, როცა ფედერალური ჯარები ავიაციის და არტილერიის გამოყენებით ანადგურებენ ჩეჩენ ხალხს, - "მშვიდობაზე", "სტაბილიზაციაზე", "ომის ღირსეულად დამთავრებაზე" და "ცივილიზებულ ურთიერთობათა აღდგენაზე" არ ლაპარაკობენ.

"მოლაპარაკებები შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი დატოვებს ჩეჩნეთს" - აცხადებს ჯოჰარ დუდაევი და ეს ურყევი პოზიცია ფარდას ხდის ყოველგვარ ფარსსა და პოლიტიკურ მზაკვრობას - რუსეთი ვერ შეინარჩუნებს მშვიდობის მედროშის ნიღაბს, ელცინი წინასაარჩევნო კამპანიის დროს თავს ვერ მოიწონებს შორსმჭვრეტელობითა და კეთილგონიერებით...

ჩეჩნები იბრძვიან და, ადრე თუ გვიან, აიძულებენ რუსეთის ხელისუფლებას, განაცხადოს - ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებები შეწყვეტილია! - და ეს უკვე სიცრუე აღარ იქნება.

*ნუგზარ წიკლაური*

# "ხსნის გზა" თუ პოლიტიკური ეკლექტიზმი

ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობაში ბოლო დროს კიდევ უფრო მეტად შეინიშნება პოლიტიკური ეკლექტიზმის ნიშნები. ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს მსოფლიოში მის ესოდენ პოპულარობას. სამაგიეროდ, მისი პოლიტიკური რეიტინგი მცირედაც აღარ აღემატება ყველაზე ხელმოცარული პოლიტიკოსის რეიტინგსაც კი.

"თამაში", რომელიც ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში ძალადობით ჩამოსვლისთანავე წამოიწყო, იმდენად მარტივ პრინციპებს ემყარება, რომ ქართველი ერისთვის იგი დიდ გამოცანად არ ქცეულა. სამაგიეროდ, ამ სიმარტივემ პეპელასავით დაათრო და გააბრუა პრიმიტიულობისკენ მიდრეკილი დასავლეთი.

კავკასიაში რუსეთის მიერ გამოგზავნილი მარიონეტი ის სათამაშო თოჯინაა, რომელსაც ერთდროულად შეუძლია მგელიც იყოს და წითელქუდას ბებიაც. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის სახელმწიფოს მეთაურს მართლაც რომ სჭირდება დასავლეთთან დემოკრატიის თამაშით კეკლუცობა, რუსეთთან მონური ერთგულება, ხოლო საკუთარი ხალხის თვალში ეროვნული მოღვაწისა და პირუთვნელი დემოკრატის იმიჯის განმტკიცება. ამ სამი ძირითადი ამოცანიდან მეთაურს პირველი ორი ბრწყინვალედ აქვს გადაჭრილი - დასავლეთი მას ემეგობრება, რუსეთი კი მას მბრძანებლობს. რაც შეეხება მესამეს - ხალხის ნდობისა და სიყვარულის მოპოვებას - იგი დიდი პოლიტიკოსისთვის მიუღწეველ ოცნებად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერი ზოგადად სიყვარულისა და ერთგულებისკენაა მიდრეკილი, ედუარდ შევარდნაძე ვერა და ვერ იქცა საკუთარი ხალხის "ნდობის ობიექტად", მისი ყველა წამოწყება ამ მიმართულებით კრახით დამთავრდა.

იგი ქართველი ერისთვის ვერც პრეზიდენტი გახდა, ვერც ქარიზმატული ლიდერი, ვერც ცხებული მეფე და ვერც ერის მამა. მისი პოლიტიკური დიაპაზონი ვერა და ვერ გასცდა ცეკას მდივნის მოღვაწეობის კონიუნქტურულ ჩარჩოებს. დარჩა ბოლო და მისი პოლიტიკური კარიერისთვის საკმაოდ მომგებიანი გზა. ამიტომ ედუარდ შევარდნაძე სახელდახელოდ მოჩვენებით უნდა დაინტერესდეს ეროვნული საკითხით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, კავკასიური სახლის შენებით. ამით იგი შეეცდება, ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭიროს: მტრად მოკიდებული კავკასია შემოირიგოს, ხოლო რუსეთის იმპერიული პოლიტიკა კავკასიაში წარმატებით განახორციელოს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთ გზად ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს მოდერნიზებულ დსთ-ში შეყვანა ესახება. ხოლო ერთიანი კავკასიური სახლის შექმნით, იგი სამუდამოდ დაასამარებს იმპერიასთან დაპირისპირებული ძლიერი კავკასიის შექმნის იდეას და ახლა უკვე მთელს კავკასიას განუმზადებს გზას ახალი კავშირისკენ.

სახელმწიფოს მეთაურის და მის მომხრეთა არგუმენტები ასეთია: რუსეთი დაგვიბრუნებს აფხაზეთს, თუ მას მთლიანად საქართველოს მივცემთ. ჩეჩნეთში შეწყდება ომი, მოგვარდება ყველა კავკასიური ეთნოკონფლიქტი, თუ კავკასია ურჩობას თავს დაანებებს და ნებაყოფილობით, მშვიდად და უმტკივნეულოდ შევა ელცინის მდგომარეობაში, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, კომუნისტები ებრძვიან. მეორე მხრივ, მიღწეული სტაბილიზაცია ხელს შეუწყობს დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების წარმატებით განხორციელებას და სახელმწიფოს მეთაურიც ისევ შეინარჩუნებს თავის "მრავალსახოვნებას".

მიუხედავად ამ პოლიტიკური ეკლექტიზმისა, ედუარდ შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული ყველა "ხსნის გზა" კრემლისკენ მიდის და მას, მიუხედავად განუზომელი ძალადობისა, პერმანენტულად უარყოფს ქართველი ერი.

*ქ.ქ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**25 მარტს, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე, სასამართლო გამოძიებისთვის ჩვენების მიცემას შეუდგა კანონიერი უზენაესი საბჭოს წევრი, განსასჯელი ზვიად ძიძიგური.**

## რას ვერ პატიებენ ზვიად ძიძიგურს?

1990 წელს საარჩევნო კანონი არ არსებობდა. კომუნისტურ ხელისუფლებასთან კონსენსუსით, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ არჩევნები იმ კანონით უნდა ჩატარებულიყო, რომელსაც უმაღლესი საბჭო მიიღებდა. კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო თავისი ბერკეტების გამოყენება მისთვის სასურველი კანონის მისაღებად. ამის პასუხად "ერგვალმა მაგიდამ" მოაწყო რესპუბლიკაში გაფიცვების მთელი სერია. გაფიცულთა მოთხოვნა იყო - არჩევნები ჩატარებულიყო მრავალპარტიული, პროპორციული სისტემით, დემოკრატიულ ვითარებაში.

სამტრედიაში მოხდა სარკინიგზო მაგისტრალის პიკეტირება, რომელიც ერთი კვირა გრძელდებოდა. ამ აქციას მე ვხელმძღვანელობდი. აქციების შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება საარჩევნო კანონის საკითხში.

ცენტრში 200-მდე შეიარაღებული "მხედრიონელი" შეგროვდა. მილიცია, როგორც ყოველთვის, მაშინაც საკუთარი კეთილდღეობის სასარგებლოდ იოლად ღალატობდა სამსახურებრივ მოვალეობას.

მხედრიონს აქტიურად უჭერდა მხარს ე. წ. ინტელიგენცია - ჯაბა იოსელიანს აცხადებდნენ პოლიტპატიმრად და საქართველოსთვის წამებულ რაინდად.

## პუტჩის მცდელობა საქართველოში

1991 წლის 2 სექტემბერს, ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგის, რიჩარდ ფაიფსის საქართველოში ვიზიტის დროს, ეძპ-ს მიერ კინოს სახლის წინ დაიგეგმა არასანქცირებული მიტინგი, რომლის დროსაც მოხდა პროვოკაციული შეტაკება მილიციასთან და დაიჭრა ერთი ადამიანი.

რუსთაველის გამზირი გადაკეტილი იქნა სამშენებლო მასალებით. ქუჩის ოპოზიციის ფორმულა იყო: ჯერ დემოკრატია და შემდეგ თავისუფლება.

მეტეხის ხიდთან მისულებმა, ვნახეთ ერთი ჩვენი ავტობუსი, რომელიც შემთხვევით ადრე წავიდა. იგი მთლიანად დაცხრილული იყო, ჩამოწყვეტილი ელექტროსადენებიდან 600 ვოლტი ძაბვა პირდაპირ ავტობუსში გადიოდა და იგი ძაგძაგებდა. დაჭრილები ცვიოდნენ ავტობუსის ჩამსხვრეული ფანჯრებიდან. მოკლულთა შორის პირველი ვინც დავინახე, იყო ჩემი მეგობარი გოგი გაბროშვილი, რომელთან ერთადაც ვიბრძოდი სამაჩაბლოში. მას ოსები "შავ გოგიას" ეძახდნენ და მისი სიცოცხლე დიდ თანხად ჰქონდათ შეფასებული.

პრეზიდენტის ბრძანებით, ქალაქის დატოვების შემდეგ, გურიაში თავისი დისლოკაციის ადგილზე დასაბრუნებლად მიემგზავრებოდა გვარდიის ნაწილი (120-კაცამდე). მეთაური იყო სოსო ჟღენტი. სოფელ ალაიანთან მათ ჩაუსაფრდნენ. ამ თავდასხმის შედეგად დაიღუპა 28, ცოცხლად დაიწვა 15, მძიმედ დაიჭრა 30 ადამიანი.

არც ერთ ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეები არ აღძრულა.

## პრეზიდენტის გასვლა საქართველოდან

მეტეხის ხიდზე გადასვლისას, ავტოკოლონას ცეცხლი გაუხსნეს ბარათაშვილის ხიდიდან და იძულებული გავხდით ღვინის აღმართით ავლაბარში წავსულიყავით. ამის შემდეგ პრეზიდენტმა დაასკვნა, რომ ჩვენი მიმართულებაც, გეგმაც - ყველაფერი

ხალხის ყოფნა სომხეთის რესპუბლიკაში, ართულებდა მისი თავისუფლად გადაადგილების საკითხს. გამომდინარე აქედან და იმ მოსაზრებიდან, რომ სამტრედიაშიც არ გამეფებულიყო ისეთივე ქაოსი და დაბნეულობა, როგორიც თბილისში იყო, ვთხოვე ბატონ ზვიადს ნება მოეცა ჩემთვის, დავბრუნებულიყავი საქართველოში. ბატონმა ზვიადმა თანხმობა განმიცხადა. მაშინ მე ვთხოვე, მოეცა გასამგზავრებლად საჭირო თანხა. ზვიად გამსახურდია შევიდა თავის ოთახში და გამომიტანა ქაღალდის საკმაოდ სქელი შეკვრა. მოგვიანებით, როცა გავხსენი ეს შეკვრა, შიგ იდო სულ 300 მანეთი, ძირითადად სამმანეთიანები.

## პროკურატურის "შეცდომა"?

საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ სამხედრო საბჭო შეიქმნა 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ იმ მიზნით, რათა შეევსო ხელისუფლების ვაკუუმი. ეს სიცრუეა, რადგან ჯერ კიდევ 2 იანვარს ტელევიზიით ოფიციალურად გამოცხადდა სამხედრო საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ. მისი წევრები იყვნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, რომელიც გათავისუფლებული იქნა რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის საგამოძიებლო იზოლატორზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად 1991 წლის 27 დეკემბერს. სამხედრო საბჭოს შექმნა გამოცხადდა ტელევიზიით, მთელი მოსახლეობის გასაგონად და შეუძლებელია, პროკურატურამ ეს არ იცოდეს. აქ საქმე გვაქვს ფაქტების

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ზვიად ძიძიგური

## რა ხდებოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში 1991 წელს?

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემუშავებული იქნა საარჩევნო კანონპროექტი. რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, აქ დადგენილი იყო კვოტები, რომელთა მიხედვით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზურ ნაწილს არ შეეძლო მიეღო რაიმე კონსტიტუციური გადაწყვეტილება კვალიფიციური უმრავლესობის გარეშე. ეს კანონი გახლდათ მშვიდობის შენარჩუნების მტკიცე გარანტი.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეროვნული ხელისუფლების მმართველობისას აფხაზი სეპარატისტების მხრიდან არ ყოფილა არც ერთი რეციდივი, რომელიც შელახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და მის ტერიტორიულ მთლიანობას. რაც შეეხება სამაჩაბლოს, 1991 წლის 26 მაისიდან ცხინვალის რაიონში შეწყდა შეიარაღებული დაპირისპირება

## პრაღის რეზოლუცია №24

1991 წლის აგვისტოში, პრაღაში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით, განმათავისუფლებელი მოძრაობების საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული იქნა რეზოლუცია №24, რომლის მიხედვითაც საქართველო ცხადდებოდა მცირე იმპერიად, რომელიც ჩაგრავდა მასში შემავალ ეთნიკურ უმცირესობებს.

## "კავკასიური სახლი" არავის მოსწონს

პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაინტერესებული იყო "კავკასიური სახლის" აღდგენის იდეით და სერიოზულად მუშაობდა ამ მიმართულებით. "სანამ საქართველოში არის ზვიად გამსახურდია, რუსეთი ვერ ეღირსება კავკასიას" - განაცხადა ელენე ბონერმა. მოგვიანებით ბ. ელცინმაც აღნიშნა, რომ ვერ გადაწყდებოდა ჩეჩნეთის პრობლემა მანამ, სანამ დაუმორჩილებელი იყო საქართველო.

ზაფხულში ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის ექსპრეზიდენტი ნიქსონი. მისი მიზანი იყო, ზვიად გამსახურდიას უარი ეთქვა კავკასიის გაერთიანების მიმართულებით მუშაობაზე. ვიზიტმა უშედეგოდ ჩაიარა, რის შემდეგაც დასავლეთმა დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის მოხსენიება დიქტატორად და ადამიანის უფლებათა შემლახავად.

## "მხედრიონი" პრეფექტურების წინააღმდეგ

1991 წლის თებერვალში სამტრედიის პრეფექტურაზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელეს ადგილობრივი "მხედრიონის" წევრებმა. რამდენიმე დღით ადრე მათ ქალაქის ცენტრში დადგეს კარავი და მოითხოვდნენ პრეფექტურების გაუქმებას. ეს პროცესი, რატომღაც, სწორედ სამტრედიიდან უნდა დაეწყოთ. უკმაყოფილო მოსახლეობამ მათ კარავი დაუნგრია. მაშინ მხედრიონელებმა ჯაბა იოსელიანს მოსთხოვეს მაშველი ძალის გამოგზავნა თბილისიდან და საღამოსთვის რაიონის

წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ და მის კიბეებზე გამართეს მჯდომარე საპროტესტო აქცია.

ეროვნული გვარდიის აჯანყებული ნაწილი, კიტოვანის მეთაურობით, დაბანაკდა შავნაბადაზე. მოგვიანებით მათ გადაინაცვლეს ტელევიზიაში და გვარდი დაუშვენეს კიბეებზე წამოსკუპებულ ინტელიგენტებს.

4-5 ოქტომბერს, კვლავ ეძპ-ს ინიციატივით, უზენაეს საბჭოს მოუახლოვდნენ მომიტინგენი შეიარაღებული პირების თანხლებით, რასაც მოჰყვა გასროლები და ადამიანთა მსხვერპლი.

ბატონი ზვიად გამსახურდია საქვეყნოდ აცხადებდა, რომ თუ ეს დაპირისპირება უფრო გამწვავდებოდა, საქართველოში აღარავინ იქნებოდა გამარჯვებული ან დამარცხებული. ყველანი ერთად დავმარცხდებოდით - გაიმარჯვებდა მხოლოდ მოსკოვი.

## სსრკ-ს დაშლა

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში შედგა შეხვედრა ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს შორის. სამიტს ჩვენი მხრიდან ესწრებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე. რუსეთის პრეზიდენტ ბ. ელცინის მიერ პირდაპირ იქნა დასმული საკითხი საქართველოს დსთ-ში შესვლის შესახებ. ჩვენმა მხარემ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია. საპასუხოდ - მეორე დღესვე, 22 დეკემბერს, შეიარაღებულმა ოპოზიციამ დაიწყო სამხედრო გადატრიალება.

## სამხედრო გადატრიალების მსხვერპლნი

გადატრიალების დაწყების შემდეგ სამტრედიის გვარდიის ნაწილი ჩამოვიდა თბილისში კანონიერი ხელისუფლების დასაცავად, აწ გარდაცვლილი თამაზ ესებუას ხელმძღვანელობით. მისი მოადგილე იყო, აგრეთვე გარდაცვლილი, სულიკო ალფაიძე. სამტრედიის ბატალიონი 25 კაცისგან შედგებოდა, ჰქონდა ორი საბრძოლო ჯავშანტრანსპორტიორი. პირველივე გასვლისას პუტჩისტებმა კოლმეურნეობის მოედანზე ააფეთქეს ერთი მათგანი, დაიღუპა 22 წლის ვეფხია წიქვაძე. სასტუმრო "თბილისის" წინ ააფეთქეს სამტრედიის ბატალიონის ტანკი, რომელშიც ცოცხლად დაიწვა 40 წლის თემურ ჯანელიძე, ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის მამა. მისი ცხედარი ვერ იპოვეს. მძიმედ დაიჭრნენ: გია სტურუა, ზურა ჯინჭველეიშვილი, აწ გარდაცვლილი შალვა ცინცაძე და კიდევ 7-8 კაცი.

მოკლული იქნა ჩემი კოლეგა, ხობის პრეფექტი თენგო საჯაია, უზენაესი საბჭოს წევრი არკადი მარკოზია. ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოკლა პუტჩისტების მიერ ნასროლმა ჭურვმა "წმინდა ილია მართლის საზოგადოების" წევრი აჩიკო რამიშვილი.

6 იანვარს, დილის 4 საათზე, დაიწყო აქტიური მზადება მთავრობის სახლიდან გამოსასვლელად. დილის 5 საათზე კოლონა, რომელიც შედგებოდა 2 ჯავშანტრანსპორტიორის, 4 ავტობუსისა და 30-მდე მსუბუქი ავტომანქანისგან, გამოვიდა უზენაესი საბჭოს შენობიდან.

ცნობილი იყო პუტჩისტებისთვის. პრეზიდენტი იქვე, თავის მანქანაში ეთათბირა ჯიბილო ნიჟარაძეს, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს საგზაო ინსპექციის უფროსი იყო და მიიღო გადაწყვეტილება, გასულიყო საქართველოდან აზერბაიჯანში და შემდეგ დაბრუნებულიყო ქუთაისში ან ბათუმში.

იმ კოლონაში, რომელიც მიემართებოდა წითელი ხიდისკენ, ბოლო მანქანაში ვიმყოფებოდი მე. გზაში საბურავი გაგვისკდა, რის გამოც კოლონის ძირითად ნაწილს ჩამოვრჩით 15-20 წუთით. როდესაც წითელი ხიდის პოსტთან მივედით, შევედით მილიციის სამორიგეოში და პირადად მოვისმინე, როგორ ეკითხებოდნენ რაციით მორიგე მილიციელებს, ავტოკოლონას ხომ არ ჩაუვლიაო. მე ვუჩვენე დეპუტატის მოწმობა მილიციელს და ვუთხარი უარყოფითად ეპასუხა. წითელ ხიდზე ჩემი გადასვლის შემდეგ, საზღვარს საქართველოს მხრიდან მოადგა გივი კვანტალიანი შეიარაღებული ხალხით. მათი რაოდენობა 200 კაცამდე იყო. ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტმა ნახევარი საათით გაასწრო მის გასანადგურებლად გამოგზავნილ მდევარს.

ჩავედით ქ. განჯაში. აზერბაიჯანის პრეზიდენტი მუთალიბოვი, რომელიც კომპარტიის წევრი იყო და რუსეთის ხელშეწყობით დანიშნული აზერბაიჯანის პრეზიდენტად, დაემალა ბატონ ზვიად გამსახურდიას. მან ვიღაც მეათეხარისხოვანი პირის საშუალებით აცნობა პრეზიდენტს, რომ ირანის ელჩები ჰყავდა და ჩვენთვის არ ეცალა.

განჯაში დავყავით რამდენიმე საათი. განჯის მერმა უთხრა ბატონ ზვიადს, რომ იგი ესაუბრა მთავრობის წარმომადგენლებს და რომ ჩვენთვის გამოყოფილი იყო თვითმფრინავი, რომელიც გადაგვაფრენდა საქართველოში. ასეთი მიღებისა და დახვედრის შემდეგ, ზვიად გამსახურდია, ბუნებრივია, აღარ ენდო აზერბაიჯანის ხელისუფლებას და უარი განაცხადა მათ მიერ შემოთავაზებულ თვითმფრინავზე. განჯიდან წამოსასვლელად მანქანებში არ გვქონდა ბენზინი, განჯის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოიმიზეზა ბენზინის ნაკლებობა და, ფაქტობრივად, ინსპექციის დახმარებით, გზაზე მოძრავი მანქანებიდან ამოღებული ბენზინი ჩაგვისხეს.

განჯიდან გავემართეთ სომხეთის რესპუბლიკაში. საზღვარზე მისვლისას, სომეხ მესაზღვრეებთან საუბრის შემდეგ, მოვიდა სომხეთის რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე, რომელმაც გადაგვიყვანა ქ. იჯევანში.

იჯევანი საკურორტო ქალაქია მაღალმთიან რაიონში, იმ პერიოდში საშინლად ციოდა. განგვათავსეს ერთ-ერთ სანატორიუმში, სადაც არ ჩაგვირთეს ელექტროენერგია, ჩემი იქ ყოფნის სამი დღის განმავლობაში საჭმლით გაგვიმასპინძლდნენ მხოლოდ ერთხელ. ბატონ ზვიადს ურთიერთობა სომხეთის ხელისუფლებასთან ჰქონდა მხოლოდ ჩემს მიერ აღნიშნული შს მინისტრის მოადგილის საშუალებით.

მე არ ვიცი, რას ელაპარაკებოდა ბატონი ზვიადი საქართველოში დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ვიცი, რომ მუდმივად იყო მუქარა პრეზიდენტის თანმხლები პირების განიარაღების შესახებ.

თუ არ ვცდები, 8 იანვარს იჯევანში ჩამოვიდნენ სამხედრო საბჭოს დესპანები იმ მისიით, რომ სომხეთის ხელისუფლებას ზვიად გამსახურდია გადაეცა სამხედრო საბჭოსთვის. ესენი იყვნენ გიორგი შენგელაია, გიგა ლორთქიფანიძე, გივი კვანტალიანი, რევაზ ყიფიანი, რეზო ესაძე. სომხეთის ხელისუფლება მათ გადაწყვეტილ პასუხს არ ეუბნებოდა.

აშკარა იყო, რომ ბატონ ზვიადთან ბევრი

შეგნებულ გაყალბებასთან და პროკურატურას მოუწევს საბრალდებო დასკვნის შესწორება.

## რისთვის შეიქმნა სამხედრო საბჭო

1992 წლის თებერვალში შეიარაღებულმა პირებმა, რომელთაც მეთაურობდა ჯაბა იოსელიანი, დაიკავეს ქალაქები - აბაშა, სენაკი, ფოთი, ხობი, ზუგდიდი. ყველა ქალაქის აღებას თან ახლდა საქართველოს ტელევიზიის ისტერიული მილოცვები, რომ სამთავრობო ჯარების ამა და ამ შენაერთებმა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბანდებისგან გაათავისუფლეს ესა თუ ის რაიონი.

ამ პერიოდში სამხედრო საბჭოს მიერ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ის პირები, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით რაიმე უკანონობა ან დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. ზვიად გამსახურდიას სახელის ხსენება შეიძლებოდა მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. ჩვენ ყველანი, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ჩვენი მხარდამჭერები, გამოცხადებული ვიყავით ფანატიკოსებად, ეგზალტირებულ ადამიანებად, პარანოიკებად და საქართველოს ტელევიზია ამზადებდა გადაცემების მთელ ციკლს ჩვენს საწინააღმდეგოდ.

დემოკრატიული ნიღბის შესაქმნელად, სამხედრო საბჭოსთან შეიქმნა პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც თათბირობდა რაღაც საკითხებზე და შემდეგ ამ ნათათბირებს აწვდიდა სამხედრო საბჭოს. ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მიერ იქნა დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და მთელი მინისტრთა კაბინეტი.

## დაუმორჩილებლობის მოძრაობა

ამ თვითმარქვია თანამდებობის პირების უვლებამოსილებანი და ძალაუფლება ნაწილობრივ ვრცელდებოდა მხოლოდ თბილისში. დანარჩენ საქართველოში გავრცელებული იყო დაუმორჩილებლობის მოძრაობა, რომელსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ხალხი არ ემორჩილებოდა სამხედრო საბჭოს, ეწყობოდა უზარმაზარი მიტინგები, მანიფესტაციები. მიტინგების აზვირთება დაიწყო ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს შტურმის დროს, ასიათასობით ადამიანი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოდიოდა, აწყობდა მანიფესტაციებს, მსვლელობებს. სამხედრო საბჭოს მიერ ეს მიტინგები და მსვლელობები რეგულარულად იხვრიტებოდა. ისინი, ვინც ზვიად გამსახურდიას ბრალს სდებდნენ 2 სექტემბრის მიტინგის დარბევაში, დღეს პირდაპირ მოუწოდებდნენ დაერბიათ და დაეხვრიტათ მიტინგები. 1992 წლის იანვარ-თებერვალში ქ. თბილისში მიტინგზე დახვრეტილთა რაოდენობამ 100-მდე ადამიანი შადგინა, დაიჭრა 300-ზე მეტი.

აშკარა იყო, რომ სამხედრო საბჭო ვერ ფლობდა სიტუაციას. მაშინ უხილავმა დირიჟორმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოუშვა თავისი ბოლო კოზირი - ედუარდ შევარდნაძე.

(გაგრძელება მე-4-ე გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებას იძლევა უზენაესი საბჭოს წევრი ზვიად ძიძიგური

## შევარდნაძის ჩამოსვლა და სახელმწიფო საბჭოს შექმნა

1992 წლის 7 მარტს საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე. იგი ეშურებოდა ჩქარა მიეღო იმის შედეგი, რასაც სთესდა მთელი 1991 წლის განმავლობაში კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. დღეს არავისთვის არაა საიდუმლო და ამის შესახებ თავადაც განაცხადა, რომ იმ მღელვარე დღეებში იგი კვალიფიციური რჩევა-დარიგებებით ამარაგებდა ე.წ. ოპოზიციონერებს. შევარნაძე იყო ჩარეული იმაშიც, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილები დახმარებოდნენ ე.წ. ოპოზიციონერებს. შევარდნაძემ პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან განაცხადა, რომ იგი გახარებულია საქართველოში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებით და მარჯვენა შეუქო ინტელიგენტებს, რომლებმაც ავტომატებით ხელში დაიცვეს დემოკრატია. ეს გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. შემდგომ გადაცემებში ამოღებული იყო ის წინადადება, სადაც შევარდნაძე აქებდა ინტელიგენტებს ამ მოქმედებისთვის.

საქართველოში ე. შევარდნაძის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში, მისი ინიციატივით, ჩამოყალიბებული იქნა სახელმწიფო საბჭო. ეს არ იყო არჩევითი ორგანო, არც ლეგიტიმური. სახელმწიფო საბჭოში პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიყვანეს სამხედრო გადატრიალებაში მათი მონაწილეობის ხარისხის შესაბამისად.

## კანონიერი ხელისუფლება განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას

1992 წლის მარტში ქ. გროზნოში ჩატარდა უზენაესი საბჭოს სესიის გამსვლელი სხდომა. უზენაესი საბჭოს სესიამ იმსჯელა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე და თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გამოხატა მიმართვებში: ქართველი ხალხისა და საქართველოს მოსახლეობისადმი; მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებს; გაეროს, ევროსაბჭოსა და კანონიერების დამცველი ორგანიზაციებისადმი; უკრაინის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოსადმი; რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და მთავრობებისადმი. უზენაესმა საბჭომ აგრეთვე იმსჯელა ე.წ. სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის მიერ მიღებული აქტების შესახებ. არც უზენაეს საბჭოს და არც პრეზიდენტს არ ჰქონიათ მსჯელობა იმის შესახებ, რომ პრეზიდენტის ხელმძღვანელობით და უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრების მონაწილეობით შეექმნათ ბანდები ფაქტობრივი ხელისუფლებისთვის შეთქმულების მოსაწყობად.

## აფხაზეთის ჩაბარების გეგმა

1992 წლის 13 მარტს უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი აფხაზეთიდან ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელმაც გააკეთა ინფორმაცია აფხაზეთის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. მისი ინფორმაციის თანახმად, საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ, აფხაზეთში გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა. აფხაზები აცხადებდნენ, რომ სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა იყო არაკონსტიტუციური, სამხედრო გადატრიალებით მოსული ხელისუფლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ჰყავდა არჩევნების გზით მოსული კანონიერი ხელისუფლება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სახით. აფხაზ სეპარატისტთა გააქტიურებას აგრეთვე ხელს უწყობდა განცხადება სამხედრო საბჭოს მიერ თითქოსდა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ, რომელშიც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით იყო საკმაოდ ბუნდოვანი მუხლები. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ამ სხდომაზე მოუწოდა დეპუტაციას აფხაზეთიდან, რომ ისინი მუდმივად დასწრებოდნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომებს, ორგანიზება გაეკეთებინათ, რომ სესიის ყოველ სხდომაზე ყოფილიყო ქართული დეპუტაციის ყველა წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა ეროვნების დეპუტატები, რათა აფხაზ სეპარატისტებს ვერ მიეღოთ ვერც ერთი კონსტიტუციური გადაწყვეტილება და ამით საფრთხე არ შეექმნათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის დეპუტაციის ერთმა ნაწილმა შემდგომში დაივიწყა ეს გაფრთხილება და კონსტიტუციური, გონივრული მოქმედების სანაცვლოდ, ისინი აჰყვნენ ორმხრივ პროვოკაციებს სეპარატისტებისა და საქართველოს პუტჩისტური ხელისუფლების მხრიდან, რეგულარულად დაიწყეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სხდომების დემარშებით დატოვება. ამან შესაძლებლობა მისცა აფხაზ სეპარატისტებს, ასევე კონსტიტუციის უხეში დარღვევით, 1992 წლის ივლისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოეცხადებინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავისი დადგენილებით გააუქმა ეს უკანონო აქტი. რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მას ჰქონდა კონსტიტუციური უფლება, გაეუქმებინა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ანტიკონსტიტუციური აქტი და მან თავისი ეს უფლება გამოიყენა დაუყოვნებლივ. ამ საკითხის შესახებ მან გაუგზავნა მიმართვა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს არძინბას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ არძინბას ქმედებანი იყო არაკონსტიტუციური. ეს მიმართვა დაბეჭდილი იყო, თუ არ ვცდები, გაზეთ "აღდგომაში".

მოგვიანებით, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან გროზნოში შეხვედრისას, საუბარი მქონდა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. **ბატონი ზვიადის აზრით, საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების გზით, თანდათან, ეტაპობრივად ჩაებარებინა აფხაზეთი.** მისი თქმით, ჩვენ უნდა განგვემარტა ხალხის ფართო ფენებისთვის, რომ წინ აღვდგომოდნენ ვითომდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით ყოველი ახალი ხელშეკრულების დადებას.

მართლაც, ცნობილი გახდა, რომ 27 ივლისს მზადდებოდა ახალი ხელშეკრულება აფხაზეთთან, უფრო სწორად, რუსეთთან. "პარლამენტის" ყველაზე ულტრაშევარდნაძისტულად განწყობილმა ნაწილმაც კი ეჭვი გამოთქვა მის მიზანშეწონილობაზე. მაშინ შევარდნაძემ საკუთარ თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა ყველა მოსალოდნელ შედეგზე. ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ მოეწყო გამოსვლები მთელ საქართველოში, მათ შორის ქუთაისში, რომელიც სასტიკად იქნა დარბეული ქალაქის "მთავარი მილიციელის", ელგუჯა ბუცხრიკიძის მიერ.

## რას წარმოადგენდა "ბანდიტური დაჯგუფება"?

პროკურატურა ბრალს მდებს, რომ მე მქონდა ურთიერთობა ბანდებთან და ვიყავი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე. "კანონიერ ხელისუფლებაში" პროკურატურა გულისხმობს შევარდნაძის ხელისუფლებას, ხოლო იმ "ბანდიტების" შესახებ, რომლებთან ურთიერთობაც მე მედება ბრალად, თავად პროკურატურავე აცხადებს, რომ ემორჩილებოდნენ თავიანთ პრეზიდენტს, ჰყავდათ თავისი უზენაესი საბჭო, მინისტრთა კაბინეტი, სამხედრო შტაბი და ა. შ. ქალაქებსა და რაიონებში ტარდებოდა მიტინგები, რომლებზეც ხალხს მოუწოდებდნენ შესულიყვნენ ამ "ბანდებში". "ბანდას" ბანკში ჰქონდა გახსნილი თავისი ანგარიში, საიდან გადმორიცხული ფულითაც ხორციელდებოდა "ბანდის" წევრების კვება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. ისინი ქმნიდნენ აგრეთვე კომენდატურებს მოსახლეობის ყაჩაღებისგან დასაცავად. პროკურატურის მიერ მოგროვებული მასალებით, "ბანდაში" შედიოდა 8-10 ათას კაცამდე. ისინი ნიშნავდნენ პრეფექტებს და ქალაქის მმართველებს. გაუგებარია, თუკი ეს შეიარაღებული ფორმირებები იყვნენ ბანდიტური დაჯგუფებები, ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ნაწილები რატომ გადასცემდნენ მათ თავის იარაღს, ან რატომ გადადიოდნენ მათ მხარეს? ან საიდან ჰქონდათ ბანდიტებს ოფიციალურად გაფორმებული პრესა და ტელევიზია? სად უნახავს პროკურატურას, ისეთი მასობრივი მხარდაჭერა ჰქონდეთ ბანდიტებს, როგორიც მათ დასავლეთ საქართველოში ჰქონდათ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან? სად გაუგია პროკურატურას, რომ ბანდიტები სოლიდარობას უცხადებდნენ პოლიტპატიმრებს, ან იღებდნენ ბრძანებულებას საგანგებო მდგომარეობის შესახებ? რომელი ბანდიტი ატარებს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად სამხედრო აღლუმს? ანდა თუ ყოფილა შემთხვევა, რომ "ხელისუფლებას" მოკავშირეობა ეთხოვოს ბანდისთვის შიდაკონფლიქტების მოსაწესრიგებლად?

პროკურატურის მიერ ბანდიტებად მონათლული პირები თითქმის უვასოდ არიგებდნენ შაქრის ფხვნილს ლტოლვილებზე. ისინი მოქმედებდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებების საფუძველზე. როგორც პროკურატურის დოკუმენტში წერია, ფოთში მათ ჰყავდათ საგანგებო შტაბის უფროსი - ვაშაძე, პრეფექტი - ბარამიძე, მომარაგების სამმართველოს უფროსი - თაქთაქიშვილი, სამხედრო კომენდანტი - არაჩემია, რომლებსაც, თურმე, უკანონოდ დაკავებული თანამდებობები ბოროტად გამოუყენებიათ.

მინდა მოვახსენო სასამართლოს, რომ ჩვენ ბანდების შექმნა არ დაგვჭირვებია. ხოლო ის სტრუქტურა, რომელსაც პროკურატურა ეძახის "შეთქმულებს" და "ბანდიტებს", შეიქმნა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების საფუძველზე, რომლის შედეგები ეჭვქვეშ თავად პროკურატურასაც კი არ დაუყენებია. სამხედრო გადატრიალებამდე და დღესაც მას ჰქვია საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.

## ჩეჩნეთი - საქართველოს მტერი

საქმის პირველივე ტომი იწყება იმით, რომ ქალაქები - სამტრედია, ხონი, ლანჩხუთი, ჩხოროწყუ და ა. შ. ჩვენს მიერ დაკავებული იქნა ჩეჩნების დახმარებით. ეს სიყალბე ემსახურება გარკვეულ მიზანს: პროკურატურას სურს დაამტკიცოს, რომ კანონიერი ხელისუფლება იხმარებდა დაქირავებულ ჩეჩენ ბოევიკებს, რომელთაც, ფაქტობრივი ხელისუფლების ვერსიით, მთავარი როლი ითამაშეს აფხაზეთის დაკარგვაში. ამის პასუხად მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პირველივე დღეებიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან. ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი ურთიერთობები აკავშირებდა საბჭოთა კავშირის გულაგებგამოვლილ ჩეჩენ და ინგუშ დისიდენტებთან. მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ ვაინახი ხალხის აღიარებული ლიდერები - ისა ქაძოევი, ბესლან კოტიკოვი და სხვები.

28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ამ ურთიერთობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1991 წლის, სექტემბერში ჩეჩნეთში პირველად ჩატარებულ დემოკრატიულ მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა ჯოხარ დუდაევმა. ამის შემდეგ, ურთიერთობა ორ მოძმე რესპუბლიკას შორის სახელმწიფოებრივ დონეზე ავიდა. ბატონი ზვიად გამსახურდია იყო მთელი კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი და მის რჩევებს კავკასიელი ხალხი ყოველთვის ითვალისწინებდა. ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან წარუმატებელი სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად გამოხატა თავისი პროტესტი. საქართველოში სამხედრო გადატრიალების დაწყების პირველ დღეებში ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ჩამოვიდა სამი სამოქალაქო პირი, რომელთაც, ზვიად გამსახურდიას თანხმობით, უნდა ეთამაშათ შუამავლის როლი დაპირისპირებულ მხარეთა შორის, რაზეც პუტჩისტებმა უარი განაცხადეს. აქედან იღებს სათავეს ვერსია დაქირავებული ჩეჩენი ბოევიკების ვითომდა გამოყენების შესახებ.

იმ დღიდან, როცა იჩკერიაში მყოფ პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას - ეწვია პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის წარმომადგენელი (წინადადებით, გადაფრენილიყო გროზნოში), საქართველოს ტელევიზიით იწყება "ფაფახიანი ჩეჩნების" მასიური ლანძღვაგინება. ამით საქართველოს ფაქტობრივი მმართველები შეეცადნენ ზვიად გამსახურდიასგან შეექმნათ მტრის ხატი. ლოგიკა უაღრესად მარტივი იყო: ჩეჩნები საქართველოს მტრები არიან და რადგან მათთან თავშესაფარი ჰპოვა ზვიად გამსახურდიამ, ისიც საქართველოს მტერია.

ჩრდილო კავკასიაში, ისევე, როგორც ყველგან, სპეცსამსახურებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ისევ შინაური მოღალატეები დაუპირისპირეს. მათ მიერ შექმნილი "მთიელ ხალხთა კონფედერაციის" შეიარაღებული ნაწილები, რომელთაც კოორდინაციას უწევდა მუსა შანიბოვი, იბრძოდნენ აფხაზეთში. საქართველოს პროკურატურისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან მტკიცება იმისა, რომ აფხაზეთში იბრძოდნენ ჯოხარ დუდაევის მიერ გამოგზავნილი ბოევიკები, სრული სიცრუეა. ამ დროს ე. შევარდნაძე გამუდმებით ამტკიცებდა, რომ დუდაევმა თბილისი გამოაცხადა უბედურების ზონად და რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია თბილისის დაბომბვა ჩეჩნური საჰაერო ესკადრის მიერ.

ბატონი ჯოხარ დუდაევი ყოველთვის დაინტერესებული იყო, რომ აფხაზეთის კონფლიქტი გადაწყვეტილიყო მშვიდობიანი გზით. ამის დასტურია კანონიერი ხელისუფლების მიერ სამშვიდობო ინიციატივაში ჯოხარ დუდაევის ჩარევა დახმარების მიზნით.

## ვინ დაკარგა აფხაზეთი

პროკურატურის მიერ ფაბრიცირებულ საქმეში უხვადაა ბრალდებები კანონიერი ხელისუფლებისა და ეროვნული გვარდიის მისამართით, რომ მათმა ქმედებებმა გამოიწვია სოხუმისა და მთელი აფხაზეთის ჩაბარება. ეს ბრალდებები თავიდან ბოლომდე უსაფუძვლოა და თითიდანაა გამოწოვილი. 1992 წლის 14 აგვისტოს ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების აფხაზეთში შეყვანაში ვითომდა რკინიგზის ტრანსპორტზე წესრიგის დასამყარებლად, კანონიერ ხელისუფლებას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მას არ შეუყვანია იქ მოუმზადებელი ჯარი და არ ჩაუშლია ფრონტის ხაზის მომარაგება ტყვია-წამლით და ტექნიკით. კანონიერი ხელისუფლება არ აღდგომია ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნას ამ ომში და, საერთოდ, მისთვის არავის უკითხავს ამ ომის დაწყების შესახებ; კანონიერ ხელისუფლებას არ დაუხუჭავს თვალი აფხაზეთის კონფლიქტში რუსული რეგულარული ნაწილების მონაწილეობაზე, არ გაუფორმებია 1993 წლის 3 სექტემბრისა და 27 ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულებები რუსეთთან, რასაც მოჰყვა ჯერ გაგრისა და შემდეგ მთელი აფხაზეთის ჩაბარება რუსეთისთვის; კანონიერ ხელისუფლებას აფხაზეთის ომის წაგების შემდეგ ჩინები არ დაურიგებია დეზერტირებისთვის; ქუჩებში უპატრონოდ არ დაუყრია 300 ათასი ლტოლვილი; პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არ განუცხადებია, რომ სოხუმს ყველაზე ბოლოს დატოვებდა და იქიდან რუსული თვითმფრინავით არ გამოქცეულა;, 30 ათასი ქართველის მკვლელობის შემდეგ, სეპარატისტი არძინბასთვის ბატონ ზვიადს ხელი არ ჩამოურთმევია.

დღეს აფხაზეთის ომში დამარცხება ჰბრალდება ყველას - ბატონ ზვიადს, ლოთი ქობალიას, თენგიზ კიტოვანს,, ჯაბა იოსელიანს, ჩეჩნებს - ყველას, ფაქტობრივი ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, ე. შევარდნაძის გარდა.

აფხაზეთის კონფლიქტის პროვოცირება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა უმეტესწილად გაპირობებულია შევარდნაძის მიერ რუსეთთან დადებული მოღალატური გარიგებით.

## რუსეთის მონაწილეობა სახელმწიფო გადატრიალებაში

1993 წლის 17 ოქტომბერს მივიღე მითითება პრეზიდენტისგან, რომ ჩავსულიყავი სამტრედიაში და შევდგომოდი ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. დღის 1 საათზე შევედი ქალაქში. ცენტრში, სასტუმროს წინ, ვნახე აფეთქებული ტანკი, რომლის ნაწილები მიმოფანტული იყო მოედანზე, ხოლო კოშკურა ეგდო 500 მეტრში. ამ ტანკს რუსების ეკიპაჟი მართავდა. მათ ეროვნული გვარდიის ნაწილები ვერ განასხვავეს ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ნაწილებისგან და ამას შეეწირნენ კიდეც. ამ ტანკისა და მისი დაღუპული ეკიპაჟის შესახებ საქმის მასალებში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი.

20 თუ 21 ოქტომბერს სამტრედიაში შემოვიდნენ რუსული შეიარაღებული ნაწილები ბათუმის მხრიდან. კოლონა, მათი განცხადებით, თითქოსდა მიემართებოდა ქუთაისში იმ მიზნით, რომ გადაეყვანათ თავიანთი ცოლ-შვილი ბათუმში, სადაც ისინი იყვნენ დისლოცირებულნი. კოლონაში იყო 60-70 ერთეული ტანკი და მძიმე ტექნიკა. მათ გაიარეს სამტრედიის რაიონის ტერიტორია, რომელიც იყო ეროვნული გვარდიის კონტროლქვეშ. რაიმე სამხედრო ქმედებას მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია, რადგან აშკარა იყო მათი უპირატესობა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული კოლონა შევიდა ქუთაისის სამხედრო ნაწილში და მათ არც უფიქრიათ ცოლ-შვილის ევაკუაციაზე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 3 ოქტომბერს ბათუმიდან ჩამოვიდა კოლონა ტექნიკით, შენაერთის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ კუჩეევის მეთაურობით, რაც ჩანს ამიერკავკასიის რუსული სამხედრო შენაერთების უფროსის (რეუტი) მოადგილის, პოტაპოვის დაკითხვის ოქმიდან. მისი ჩვენების თანახმად, ამ კოლონას ჩამორჩა ავტომანქანა "ურალი" საველე სამზარეულოთი. ამავე დროს საყურადღებოა, რომ სწორედ 3 ოქტომბერს მოხდა ეროვნული გვარდიის ერთი ჯგუფის ხონში შესვლა.

პოტაპოვის ჩვენებას ეწინააღმდეგება "სვობოდნაია გაზეტას" პუბლიკაცია, რომლის საფუძველზეც რესპუბლიკის პროკურატურამ საქმე აღძრა 5 სამხედრო მოსამსახურის მკვლელობის ფაქტზე. პუბლიკაციის თანახმად, კოლონას ჩამორჩა ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და მის დასახმარებლად გაიგზავნა დამატებითი ძალა. პუბლიკაციაში არავითარ საველე სამზარეულოზე ლაპარაკი არაა. სამაგიეროდ, პოტაპოვის ჩვენებაში ფიგურირებს სამზარეულოს მოსაძებნად გაგზავნილი 6 რუსი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ერთი საბრძოლო მანქანით გაეშურნენ დავალებაზე. ესენი იყვნენ: მაიორი ოლეგ ზუბრუკი - უმაღლესი განათლებით, ლეიტენანტი იგორ პოპოვი - მოტომსროლელი პოლკის მეთაური უმაღლესი სამხედრო განათლებით, ბატალიონის შტაბის უფროსი, აგრეთვე რაული, ბორისოვი, შაგი ახმედოვი, ლიტვინენკო და ბუნენკო.

ეს პირები შეიარაღებულნი იყვნენ ყუმბარმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, ავტომატებით და პისტოლეტებით. მანქანაში იყო კიდევ ერთი ყუმბარმტყორცნი. თითოეულ ტყვიამფრქვევზე ჰქონდათ 500-600 პატრონი. ჯავშანტრანსპორტიორში ჰქონდათ აგრეთვე ერთჯერადი ყუმბარმტყორცნი (მუხა), ტყვიამფრქვევის 500 ვაზნა, აგრეთვე სტაციონარული რაცია და გადასატანი რადიოსადგური. ორივე რაცია გამართული იყო სამუშაოდ. საკვირველია, რომ ამოდენა არსენალით წასულ სამხედრო მანქანას თან არ ჰქონდა საბრძოლო რუკა და არ იცოდა რა ოპერაციაზე მიდიოდა. მათი ბოლო კავშირი სამხედრო ნაწილთან შედგა 1 საათსა და 40 წუთზე. მათ რატომღაც არ უთხრეს, რომ საველე სამზარეულო უკვე ნაპოვნია. საქმეში შემდეგ აღწერილია, როგორ ჩაება ჯგუფი საბრძოლო მოქმედებებში, როგორ დაცხრილა კანონიერი ეროვნული გვარდიის კამაზი, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მათ მოკლეს ეროვნული გვარდიის მებრძოლი - მამუკა დანელია. ამის შემდეგ ზუბრუკი აჩვენებს, რომ მოხვდა ალყაში და ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ. მათ ყელზე ეკიდათ ვერცხლისფერი ჯაჭვი ლამურას გამოსახულებით. ასეთივე გამოსახულება იყო საბრძოლო მანქანის ორივე მხარეს. კიდევ რამდენი ასეთი სამხედრო მანქანა და რუსი სპეციალისტი მონაწილეობდა ეროვნული გვარდიის წინააღმდეგ ფაქტობრივი ხელისუფლების დასახმარებლად, ამის შესახებ იცის მხოლოდ ფაქტობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობამ.

(იბეჭდება შემოკლებით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი გიორგაძის ნაცვლად იძლევა მესხიას

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ელგუჯა მესხია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით იქნა დაპატიმრებული რუსეთის პროკურატურის მიერ და აქამდე იყოფებოდა მოსკოვის შს სამართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში, 22 მარტს გადმოყვანილი იქნა საქართველოში, კერძოდ, ზუგდიდის იზოლატორში.

რუსეთის სამართალდამცავები მოითხოვდნენ თავიანთი ქვეყნის მთავრობისგან, რომ არ გადაეცათ იგი საქართველოს ხელისუფლებისთვის, ვინაიდან მესხია, შესაძლოა, ისევე გახდეს ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, როგორც ქართველ პოლიტპატიმართა უმრავლესობა.

მარტის შუა რიცხვებში ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ "ემნისთი ინთერნეიშნლ", ელგუჯა მესხიას დასაცავად, ასევე გაავრცელა ბიულეტენი გრიფით "სწრაფი რეაგირებისთვის". მასში ნათქვამია: "ემნისთი ინთერნეიშნლ" მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, არ დაუშვას ელგუჯა მესხიას გადაცემა საქართველოს ხელისუფლებისთვის, რამეთუ, ამ შემთხვევაში, არსებობს მისი უფლებების შელახვის დიდი საფრთხე. "ემნისთი ინთერნეიშენლ" შიშობს, რომ ელგუჯა მესხია გახდება წამებისა და უხეში ზეწოლის მსხვერპლი, ილებს რა მხედველობაში იმ ფაქტს, რომ შარშან საქართველოში ადგილი ჰქონდა ანალოგიურ ქმედებებს ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულში ბრალდებულ განსასჯელთა მიმართ".

"ემნისთი ინთერნეიშნლ"-ის ბიულეტენს დამატების სახით ახლავს მოკლე ინფორმაცია " გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" მონაწილეთა წამებისა და სასამართლო პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევების შესახებ. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, "ემნისთი ინთერნეშნლ" გამოთქვამს შიშს, რომ საქართველოში გადაყვანის შემთხვევაში, ელგუჯა მესხია სხვა პატიმართა მძიმე ხვედრს გაიზიარებს.

ცნობილ ემიგრანტულ გაზეთში "რუსკაია მისლ" (№4119, 28 მარტი - 3 აპრილი) გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისეთი ადამიანების დაკავებითა და გადაცემით, როგორიცაა მესხია, რუსეთის ძალოვანი ორგანოები ხარკს უხდიან საქართველოს ხელისუფლებას უფრო მსხვილი ფიგურების მფარველობისთვის - იგულისხმება იგორ გიორგაძე, რომელიც დღესაც მოსკოვის გარეუბანში, ერთ-ერთ კომფორტულ აგარაკზე ცხოვრობს და არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

# მოსამართლე შუამავლობს პროკურორს

**5 აპრილს უზენაესი სასამართლოს სამსჯავრო განხილვა დაიწყო ზვიად ძიძიგურის განცხადებით.**

"მოგახსენებთ, რომ 1992 წლის 4 იანვრიდან საქართველოს პროკურატურა, ფაქტობრივად, ჩადგა სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლების სამსახურში. 1992 წლის 4 იანვარს, სამხედრო საბჭოს ბრძანებით, გენერალურ პროკურორად დაინიშნა ვ. რაზმაძე, რაც იყო ყოვლად მიუღებელი, ამორალური და არაკანონიერი აქტი. შემდგომში სამხედრო საბჭოს ე.წ. სახელმწიფო მეთაურის მიერ ინიშნებოდა სახელმწიფოს გენერალური პროკურორები და სხვადასხვა თანამდებობის პირები.

ვაცხადებ, რომ დღევანდელი პროკურატურა დგას არა კანონის, არამედ ხელისუფლების სამსახურში. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ურცხვი კანტორა ემსახურება სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ ხელისუფლებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ საქართველოს დღევანდელ პროკურატურას და მის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ არც იურიდიული, არც მორალური უფლება დაკითხვები მოგვიწყონ ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს. პროკურატურისადმი ჩემი დამოკიდებულება, კერძოდ კი ჩვენების არმიცემა, აიხსნება იმით, რომ ჩემს მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობას. უარს ვამბობ დღევანდელი პროკურატურის მიერ დასმულ შეკითხვებს გავცე პასუხი. მე არ მეშინია არც ერთი შეკითხვის. თანახმა ვარ სასამართლოს პირიდან მოვისმინო ეს შეკითხვები, რომელსაც პასუხს გავცემ."

**მოს.** - არსებული კანონის შესაბამისად, პროკურორს აქვს უფლება დასვას შეკითხვები. გასცეთ ან არა პასუხი - თქვენი უფლებაა. მე გირჩევთ, გაგეცათ პასუხი.

**ზ.ძ.** - დღევანდელი პროკურატურა არის უკანონო, მათ არა აქვთ უფლება დამკითხონ. რაზმაძე და ბაბილაშვილი - ორივე უკანონოა კანონის წინაშე.

**მოს.** - იძახეთ უკანონოა, მაგათ დაგაჯინეს აქ. თქვენ მანდ ზიხართ, ის კი გენერალური პროკურორია.

საბოლოოდ, პროკურატურასა და განსასჯელს შორის შუამავლის ფუნქცია იტვირთა მოსამართლემ. იგი იმეორებდა ბრალმდებლის მიერ დასმულ კითხვებს და ზვიად ძიძიგური მხოლოდ ამის შემდეგ სცემდა პასუხს.

# პროკურატურა არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრს, მოსამართლე ა. ალადაშვილს**

## განცხადება

დღეს, 1996 წლის 5 აპრილს, დანიშნული იყო საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ღია ეთერით მიმდინარეობს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმის "ჯიბის" პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი ყველა ცოდვაში, კერძოდ, აფხაზეთის კამპანიის სამარცხვინო წაგებაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში და ა.შ. ღიად და უცერემონიოდ გვადანაშაულებს ჩვენ, ამ პროცესის მონაწილეებს.

მას არ ჰყოფნის მოთმინება, თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილებამდე შეიკავოს თავი, რითაც ფაქტობრივად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ჩვენს წინააღმდეგ, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

გამოვთქვამთ კატეგორიულ პროტესტს აღნიშნულ ქმედებებზე და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ სასამართლო რეაგირებას.

ამასთანავე, თუ ჩვენ ვიმხილებით აღნიშნულ დანაშაულობებში, მოვითხოვთ, ჩართული იქნეს ჩვენს საქმეში სამხედრო პროკურატურისა და პროკურატურის გამოძიების მასალები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (კერძოდ, საქმე № 2293877).

**სამხედრო ტყვეები:**

**პოლკოვნიკი ვახტანგ ქობალია**

**პოლკოვნიკი ჯამბულ ბოკუჩავა**

**პოლიტპატიმრები, უზენაესი საბჭოს წევრები:**

**ზვიად ძიძიგური**

**ნუგზარ მოლოდინაშვილი**

# ჩვენ უფლებები წაგვართვეს, მოვალეობები არავის წაურთმევია

4 აპრილს კანონიერი უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, განსასჯელმა ზვიად ძიძიგურმა დაასრულა სასამართლო გამოძიებისთვის ჩვენების მიცემა. მან განაცხადა, რომ არ ადასტურებს წინასწარი გამოძიების პროცესში მიცემულ არც ერთ ჩვენებას, რადგან ისინი მიცემული იყო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. შემდგომ ამისა მოსამართლე შეუდგა განსასჯელისთვის კითხვების დასმას.

**მოსამართლე:** - ე.ი. თქვენ უარყოფთ ყველა ჩვენებას და დღესაც მიგაჩნიათ, რომ ხართ უზენაესი საბჭოს დეპუტატი და სამტრედიის პრეფექტი?

**ზვიად ძიძიგური:** - დიახ, რადგან არ არსებობს არავითარი დოკუმენტი, რომელიც ამას უარყოფს.

**მოს.** - ე.ი. დღევანდელი ხელისუფლება, თქვენი აზრით, კანონიერი არ არის და როდესაც სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება, ებრძოდით მას?

**ზ. ძ.** - სამხედრო გადატრიალების შემდეგ ჩვენ, ხალხის ნების შესაბამისად, კვლავ ვახორციელებდით ყველა ჩვენს ქმედებას, რადგან ფაქტობრივად წაგვართვეს უფლებები, მაგრამ მოვალეობები არავის წაურთმევია.

**მოს.** - თქვენ, როგორც დეპუტატი, ესწრებოდით სესიებს, რომლებზედაც იყო მიღებული დადგენილება დაუმორჩილებლობისკენ, იარაღით ბრძოლისკენ მოწოდებით.

**ზ. ძ.** - ზუგდიდში ჩატარდა ორი სესია, რომელთაგან ერთს მე ვესწრებოდი. სამხედრო გადატრიალების პირველი დღიდან კანონიერი ხელისუფლება მოუწოდებდა საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ. იარაღის ფაქტორი დასავლეთ საქართველოში გაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაქტობრივმა ხელისუფლებამ სადამსჯელო ექსპედიციები გაგზავნა ამ მხარეს, რის შემდეგ ხალხმა ხელში სტიქიურად აიღო იარაღი მოძალადეებისგან თავის დასაცავად.

**მოს.** - გაქვთ კონკრეტული ფაქტები იმპერიული ძალების მონაწილეობის შესახებ საქართველოში მიმდინარე პროცესებში?

**ზ. ძ.** - მოგახსენებთ, რომ არსებობს უამრავი მასალა რუსების უხეში და უცერემონიო ქმედებების შესახებ სამხედრო გადატრიალების დროს. გამოქვეყნდა სუფიან ბეპაევის ინტერვიუები, რომელიც იმხანად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის მოადგილე იყო; ზღვა მასალა არსებობს ქართულ, რუსულ და საზღვარგარეთულ პრესაში; არის აგრეთვე მდიდარი ვიდეომასალა.

**მოს.** - პრესა არაა საკმარისი. ფაქტები თუ გაქვთ?

**ზ. ძ.** - მე არ მაქვს შესაძლებლობა, მოვიძიო მასალები რუსეთის სუკიდან. ამგვარი შესაძლებლობა აქვს საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას, მაგრამ მას ამის სურვილი არა აქვს, გასაგები მიზეზების გამო.

**მოს.** - თუ ყველაფერი იგეგმებოდა რუსეთის სუკ-ში, როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ გამსახურდიას მომხრეები დღეს მოსკოვში არიან?

**ზ. ძ.** - ჩემთვის ცნობილია, რომ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებიან ფინეთში, საფრანგეთში, ბალტიის ქვეყნებში. ისინი რუსეთში, ალბათ, არაოფიციალური სტატუსით იმყოფებიან, როგორც კერძო პირები, და არა როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები.

**მოს.** - შევეხოთ აფხაზეთის კონფლიქტს. ქიშმარიას იცნობთ? იბრძოდა იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ? რამდენად სწორად მიგაჩნიათ "ბოევიკების" შემოყვანა ხობში, სენაკში და საბრძოლო ოპერაციებში მათი მონაწილეობა?

**ზ. ძ.** - ქიშმარიას შესახებ მხოლოდ გამიგია, რომ იგი აფხაზების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მისი მეთაურობით ბოევიკების მონაწილეობის შესახებ საბრძოლო ოპერაციებში, მე გავიგე ტელევიზიიდან. ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე მოგახსენეთ და ვიმეორებ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად იბრძოდა როგორც ქიშმარია და აფხაზი სეპარატისტები არძინბას მეთაურობით, ასევე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება შევარდნაძის მეთაურობით. ცალსახად იმის თქმა, რომ ქვეყნის ტერიტორიის ხელყოფა მხოლოდ სეპარატისტული ქმედების შედეგია, არასწორია. ეს არ მოხდებოდა, რომ ფაქტობრივ ხელისუფლებას არ გადაედგა შემხვედრი ნაბიჯები. ჩემთვის არ არის ცნობილი სეპარატისტების თუ ჩრდილო კავკასიელების სამეგრელოს რეგიონში საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის ფაქტები. ხოლო თუ თქვენ, უბრალოდ, ჩემი შეფასება გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ თუკი ასეთ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ალბათ, ისინი შემოყვანილნი იყვნენ ადმირალ ბალტინის შეიარაღებულ ნაწილებთან დასაპირისპირებლად.

**მოს.** - ე.ი. სწორად მიგაჩნიათ ამგვარი ქმედება?

**ზ.ძ.** - თუკი ფაქტობრივ ხელისუფლებას სწორად მიაჩნია უცხო, დაინტერესებული ქვეყნის ძალების ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, მაშინ მეც დასაშვებად ვთვლი საქართველოს მოქალაქეების, რაც უნდა სეპარატისტულად იყვნენ განწყობილნი, ამ საოკუპაციო ნაწილების წინააღმდეგ მოქმედებას.

**მოს.** - თქვენ განაცხადეთ, რომ პარლამენტზე მიღებულ იქნა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონი. ეს კანონი სწორი იყო? აქედან ხომ არ დაიწყო ყველაფერი?

**ზ. ძ.** - მდგომარეობა აფხაზეთში მაშინაც რთული იყო. მიღებული კანონი იყო მაქსიმუმი, რისი გატანაც საქართველოს უზენაეს საბჭოს შეეძლო ისე, რომ რეგიონში არ დაწყებულიყო პროვოკაციები. ამ კანონის თანახმად, აფხაზურ მხარეს კონსტიტუციური ხასიათის გადაწყვეტილებების მისაღებად სჭირდებოდა ხმათა ორი მესამედი. ეს ფაქტობრივად გამორიცხავდა თვითნებობას მათი მხრიდან. რაც შეეხება საარჩევნო კანონის ავკარგიანობას, ჩემს მიერ დამატებით მოწმეებად გამოძახებულნი იქნებიან ვ. ალექსიძე და ჯ. ხეცურიანი, რომლებიც ამ კანონის ავტორები და რეკომენდატორები არიან და ისინი, ალბათ, უკეთ მოგახსენებენ ამის შესახებ.

**მოს.** - ადასტურებთ თუ არა, რომ აფხაზეთიდან გამოსულ ჯარს ართმევდნენ იარაღს?

**ზ. ძ.** - საქმის მასალებში არსებობს შეთანხმება (ტ.4, გვ.205) თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამსახურის უფროსის უჩაძის ჩვენებით. მან სთხოვა ლოთი ქობალიას, არ გაეტარებინა ის პირები, ვინც ნებართვის გარეშე ბრუნდებოდა. ჩემთვის ცნობილია, რომ დეზერტირების გარდა იარაღი არავის ჩამოურთმევია.

**მოს.** - თქვენ განმარტეთ, რომ გამსახურდია არ დათანხმდა გადადგომაზე, რადგან ასეთი ულტიმატუმი არავის წაუყენებია მისთვის, შემდეგ თავდაცვის შტაბის წევრებმა უღალატეს - იქნებ გაშიფროთ, რა ღალატზეა ლაპარაკი.

**ზ. ძ.** - ღალატია, როცა დღეს ემსახურები ეროვნულ ხელისუფლებას, ხვალ კი მარიონეტულ მთავრობას, რომლის კურსი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პირველს.

**მოს.** - ვისი დანიშნული იყო ეს ხალხი?

**ზ. ძ.** - სხვადასხვა დროს ეს პირები დამტკიცებულნი იყვნენ უზენაესი საბჭოს სხდომებზე. სხვათა შორის, ამავე უზენაესი საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა - სამწუხაროდ, ბევრი შეცდომა დავუშვით.

**მოს.** - აფხაზეთის ფრონტზე იყავით?

**ზ. ძ.** - არა.

**მოს.** - რა იცით იმის შესახებ, რომ ლოთი ქობალიამ მობილიზაცია გამოაცხადა.

**ზ. ძ.** - ჩემთვის ცნობილია ის, რომ 1993 წლის დასაწყისში გამოცხადდა მობილიზაცია არამარტო სამეგრელოს რეგიონში, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**მოს.** - როგორ ფიქრობთ, გამართლებულია, რომ აფხაზეთში სასტიკი ომის დროს თქვენ ხალხს ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდით?

**ზ. ძ.** - ომის მიმდინარეობაზე ეს არ მოახდენდა გავლენას. თავიდანვე ჩანდა, რომ აფხაზეთი განწირული იყო რუსეთისთვის ჩასაბარებლად მოღალატური ხელშეკრულებების წყალობით; ეს ხდებოდა ფაქტობრივად კაპიტულანტური გარიგებების გზით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ აფხაზეთი გადაგვერჩინა.

**მოს.** - თქვენ გაურბიხართ კითხვაზე პასუხის გაცემას!

**ზ. ძ.** - მას შემდეგ, რაც სოხუმზე მიიტანეს იერიში რუსეთის შეიარაღებულმა ნაწილებმა, კაზაკებმა, სომხებმა, აფხაზების სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა, მთიელ ხალხთა კონფედერაციის ბოევიკებმა, ბატონი ზვიად გამსახურდიას მიერ ჩატარებულ ყველა მიტინგზე დომინირებდა აზრი, რომ ახლა ხელისუფლების საკითხის რკვევის დრო არ არის და მთავარია, ერთობლივი ძალისხმევით როგორმე გადავარჩინოთ აფხაზეთი.

**მოს.** - რა იღონეთ ამისთვის?

**ზ. ძ.** - ეროვნული გვარდიის ნაწილები გადასროლილ იქნა სოხუმში თვითმფრინავითა და გემით. კოდორთან გაგზავნილ იქნა ეროვნული გვარდიის შეიარაღებული ნაწილები. ბატონი ზვიადი დადიოდა პოზიციებზე სამხედრო შტაბებში. ჰქონდა შეხვედრები სამხედროებთან, რათა ერთობლივად დაეგეგმათ და განეხორციელებინათ სოხუმის გადარჩენის ოპერაციები.

**მოს.** - თქვენ სასამართლო სხდომაზე უარყავით ბრალდება ხიდის აფეთქების ეპიზოდში და ეს იმით ახსენით, რომ თქვენს მიმართ ადგილი ჰქონდა ცემას და სხვა ძალისმიერ ზეგავლენას. აღიარებით ჩვენებას ადვოკატის თანდასწრებით აძლევდით?

**ზ. ძ.** - დიახ, ადვოკატის თანდასწრებით მე მივეცი აღიარებითი ჩვენება, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან, ჯერ ერთი, ადვოკატი ამ ჩვენებების მიცემის შემდეგ მიდიოდა სახლში, მე კი ვრჩებოდი საკანში, სადაც ნებისმიერ წუთს შეეძლოთ გაემეორებინათ იგივე. გარდა ამისა, მე გაფრთხილებული ვიყავი ბალუაშვილის მიერ, რომ ჩემი ურჩობის შემთხვევაში, ჩემს ძმას, სიძეს და მეგობრებს წაუყენებდნენ 65-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც თავისუფლების აღკვეთა იწყება 10 წლიდან.

**მოს.** - დაკავების დროს თქვენთვის არაფერი უპოვიათ?

**ზ. ძ.** - დაკავების დროს არაფერი უპოვიათ, არავითარი ასაფეთქებელი ნივთიერება, არანაირი პისტოლეტები, სადენები, ბარები და ა.შ. ჩვენ არ გვქონია.

**მოს.** - რატომ ბოლომდე არ აღიარეთ, რასაც გამოძიება ითხოვდა თქვენგან?

**ზ. ძ.** - მეტი რაღა უნდა მეღიარებინა.

**მოს.** - მაგალითად, "ალგეთის მგლები" რატომ არ აღიარეთ? ცემის შიშით, ნაწილს აღიარებდით და ნაწილს არა?

**ზ. ძ.** - მე მზად ვიყავი მეღიარებინა ისიც, რომ ვიყავი "ალგეთელი მგლების" წევრი. მილიციის თანამშრომლებს ვეხვეწებოდი, დაწერილებით მოეთხროთ, რა ჩაიდინეს "ალგეთელმა მგლებმა", მაგრამ ბოლო დღეებში მათ ეს ჩვენებები არ დასჭირდათ.

**მოს.** - რატომ, გაუხსნელი საქმე აქვთ?

**ზ. ძ.** - ალბათ, "მგლები" იპოვეს. ჩემთვის ცნობილია, როგორ ხსნის პროკურატურა გია გულუას, ჭანტურიას და სხვათა მკვლელობებს. მილიციას შეუძლია მთელი ოპოზიცია დააპატიმროს.

პუბლიკაცია მოამზადეს
მ. ტუსიშვილმა და
ს. გურამიშვილმა

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




მეოთხე თავი

## 1989 წლის 9 აპრილი - პერესტროიკის ერთი ასპექტი

პერესტროიკის პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართული პატარა მოძრაობა გარდაიქმნა მძლავრ მიმდინარეობად, რომელსაც მოსახლეობის ფართო ფენები უჭერდნენ მხარს. ახალმა პოლიტიკამ გარკვეული ლიბერალიზაცია მოიტანა საბჭოეთში. თუმცა, გორბაჩოვი არასოდეს უარყოფდა, რომ მიუხედავად "პერესტროიკის" ავტორობისა, კომუნისტური მრწამსის ერთგული რჩებოდა. ცვლილებები მხოლოდ მისი მოქმედების ტაქტიკას შეეხებოდა. ქრისტოფერ სთორი "Soviet Analyst"-ის მე-9/10 ნომერში (1994 წლის ივნისი) აღნიშნავდა, რომ გორბაჩოვსა და ელცინს შორის ყოველთვის არსებობდა ჩუმი ერთსულოვნება და 1991 წლის პუტჩიც წინასწარ შეთანხმებული თამაში იყო. სთორი შეეცადა ამის დამადასტურებელი ფაქტების წარმოდგენას. ის აღწერდა პუტჩამდე კარგა ხნით ადრე ეფექტურად მოქმედ ინსტიტუტს - გორბაჩოვის სახელმწიფო იდეოლოგიურ მექანიზმს, რომლის მთავარი ამოცანა კაცობრიობაში ლენინისტური იდეების შთანერგვა იყო.

სთორი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირს ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციები უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდნენ. 1992 წლის 12 მაისს ვალდორფ-ასტორია-ჰოტელში ცოლ-ქმარ გორბაჩოვების საპატივცემულოდ გამართულ ბრწყინვალე საზეიმო მიღებაზე დევიდ როკფელერმა წარჩინებული საზოგადოების წინაშე ღირსშესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა: "ბატონი გორბაჩოვი საკმაოდ დიდი პოტენციალის მქონე პიროვნებაა, ქველმოქმედების თვალსაზრისით".

ამასთან დაკავშირებით სთორი გესლიანად შენიშნავდა: "რაოდენ სიამოვნებას მიანიჭებდა ლენინს როკფელერისნაირი მდიდარი და უაღრესად გავლენიანი იდიოტის ბაგეთაგან მსგავსი სისულელის მოსმენა.".

საქართველოში მიმდინარე მოვლენების კონტექსტში, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკულ-რუსულ ორგანიზაციებში, რომელთა ერთ-ერთი მესვეური ედუარდ შევარდნაძეც არის, მრავალი მილიონი დოლარი ჩაედინებოდა. ეს სიახლე ე.წ. გარდაქმნამ მოიტანა, რომელსაც გორბაჩოვი ახორციელებდა დევიზით: საბჭოთა სოციალიზმის "გაადამიანურება".

გორბაჩოვისეული წამოწყების მსოფლიო მასშტაბით ამგვარი თავბრუდამხვევი "წარმატება" ვერ აიხსნება ოდენ რაფინირებული პროპაგანდისტული მანქანის ეფექტური მუშაობით. ეს იყო თვალის შეგნებულად დახუჭვა იმ უტყუარ ფაქტზე, რომ საბჭოთა სისტემა ბოლოს და ბოლოს სრულად გაკოტრდა. აქამდე მხოლოდ ეროვნული სიმდიდრის განიავების, ადამიანებისა და ბუნებისადმი მძარცველური დამოკიდებულების ხარჯზე ხდებოდა შესაძლებელი საიდუმლო სამსახურის უამრავ პასუხისმგებელ მუშაკთა თუ ბიუროკრატთა ხელფასების გადახდა და უსაზღვროდ გაზრდილი არმიის "გამლომის" და სამხედრო ინდუსტრიის ხარჯების დაფარვა. ამას საბჭოთა კავშირი გარდუვალი დაღუპვისკენ მიჰყავდა. გარდა ამისა, საზღვარგარეთის მხრიდან აშკარა იყო ზეწოლა გარდაქმნის სასარგებლოდ. ამ ვითარებაში გაჩნდა პერსპექტივა საბჭოური სისტემის ფარგლებში აღმოცენებული ოპოზიციის ლეგიტიმური საშუალებებით ხელისუფლების სათავეში მოსვლისა, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ პერესტროიკა ყურადღების გადასატანი მანევრი იყო აშკარად მოახლოებული კატასტროფის დასაფარავად. აღიარებული ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლება ხშირად, საპირისპირო შეხედულების მიუხედავად, ამერიკის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს პრაქტიკულად ეთანხმებოდა. მნიშვნელოვანი დეტალია, რომ FBI-ს (აშშ-ს საიდუმლო პოლიცია) მოსკოვში დამოუკიდებელი წარმომადგენლობა ჰქონდა. ამერიკელები - საუკეთესო კომერსანტები - უზარმაზარ თანხებს ტყუილუბრალოდ არ იხდიან. ამ ასპექტში, არა მგონია, ლენინს ნიუიორკში გორბაჩოვის მისამართით წარმოთქმული საქებარი სიტყვები სიამოვნებოდა.

შემდგომში, გარემოებათა გამო, გორბაჩოვის შიდაპოლიტიკური კურსი ხრუჩოვის "დათბობის" პერიოდის პოლიტიკას მიუახლოვდა. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და მოიხსნა ცენზურა საინფორმაციო საშუალებებზე. მაგრამ უცვლელი რჩებოდა უშიშროების კომიტეტის, არმიის და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიის არსი და ფუნქცია. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს საბჭოთა კავშირში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია შესუსტდა. თუმცა, საქართველოში მსგავსი არაფერი იგრძნობოდა.

1985 წელს, როცა შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელის პოსტი ჯუმბერ პატიაშვილს გადააბარა, რომელიც სწორხაზოვანი პარტიული მუშაკი იყო და შეხედულებებიც შესაბამისი ჰქონდა. პატიაშვილმა აკრძალა მიტინგები, ხოლო რადიომაუწყებლობის ერთ მუშაკს ხუმრობით განუცხადა: "დღეს ასეა: რუსეთისთვის ლაპარაკობს გორბაჩოვი, საქართველოსთვის - ლიგაჩოვი" (ლიგაჩოვი გორბაჩოვის "რეაქციულ-კონტრასტულ სახესხვაობას" წარმოადგენდა. თუმცა, საჭიროებისამებრ, ამის საპირისპირო ნიღაბსაც ირგებდა).

საქართველოში გამეფებული რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და 1989 წლის 4 აპრილს მთავრობის სასახლის წინ საშიმშილოდ დასხდნენ. სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველოში იმხანად ყველაზე ძლიერი ოპოზიცია ჩამოყალიბდა, რომელსაც მოსახლეობის ფართო ფენები უჭერდნენ მხარს. ერთი წლის წინ მთავრობა ოპოზიციას დაჰპირდა, რომ ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის პროექტს გააუქმებდა, რადგან ეს მშენებლობა საქართველოსთვის სრულიად უვარგისი იყო. მაშინ, ამ პროექტის ნაკლოვანი მხარეების გამომზეურების მიზნით, ზვიად გამსახურდიამ გამოსცა სპეციალური გამოშვება - "მატიანე", სადაც დღის სინათლეზე გამოიტანა მთავრობის მიერ უჯრაში ჩაკეტილი საფუძვლიანი ანგარიში - პროფესიონალი ექსპერტების დასკვნები.

1989 წელს ხელახლა შეიქმნა სხვა, კიდევ უფრო გიგანტური ჩანაფიქრის განხორციელების საშიშროება. გრანდიოზული ჰესის მშენებლობის შედეგად უზარმაზარი ნაყოფიერი მიწის ნაკვეთი უნდა დატბორილიყო. ეს გამოიწვევდა საქართველოს მშვენიერი კლიმატის შეცვლას. გარდა ამისა, წინასწარ განსაზღვრული თანხები სრულიად არ შეესაბამებოდა მისაღები ენერგიის რაოდენობას. ტექნოკრატებს, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, მოსკოვიდან მოსალოდნელი სამანეთო თანხები აინტერესებდათ და ოდნავადაც არ აღელვებდათ ის დამღუპველი შედეგები, რომელიც ამ პროექტის განხორციელებას მოჰყვებოდა. სწორედ ეს იყო ნამდვილი და სამართლიანი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნას აყენებდნენ. საპროტესტო შიმშილობით კი სურდათ საზღვარგარეთის ყურადღება მიეპყროთ, რომლისგანაც მხარდაჭერას ელოდნენ.

ზვიად გამსახურდია ამ აქციის შესახებ წერდა: "ეროვნულ მოძრაობაში შემოგზავნილი აგენტები ამაოდ ცდილობენ 4-9 აპრილის აქციისთვის, რომლის უმთავრესი მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობა გახლდათ, მიეცათ ეთნოკონფლიქტის გამჩაღებელი, ანტიაფხაზური პროვოკაციის ხასიათი და ამგვარად მოეხდინათ მისი დისკრედიტირება. ისინი ამაოდ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აქციები არ იყო მშვიდობიანი, რომ თითქოს ჩვენ ხალხს თავზე ვახვევდით ფაშისტურ ლოზუნგებს, რათა ძალადობრივად დაგვემხო ხელისუფლება."

შემდგომში გამოყენებული იქნება სამი თვითმხილველის ურთიერთშემავსებელი ინფორმაცია. ერთი მათგანი თავად ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის, ხოლო ზვიად გამსახურდიასა და მწერალთა კავშირის ერთ-ერთი წევრის მონათხრობი ციტირებულია "1989 წლის 9 აპრილის ანთოლოგიიდან" (1991, ლებახი-ზაარი), რომელიც გეორგ ლაურანმა გამოსცა.

შიმშილობის დაწყების დღიდან, სტუდენტთა მორალური მხარდაჭერის მიზნით, შეუწყვეტლად მოდიოდა ხალხი მთავრობის სახლთან. დღისით თუ ღამით ქვის კიბეებზე ჩამომსხდარ მოშიმშილეებთან, სულ ცოტა, 500 კაცი ყოველთვის იდგა. თანამგრძნობთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. ერთხელ, ზვიად გამსახურდიას მოწოდებით, ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი სტადიონი - 100 000 ადამიანი - წამოვიდა რუსთაველზე, რათა მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის, რომელსაც "ილია მართლის საზოგადოება", "ჰელსინკის ჯგუფი" და "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია" აყენებდნენ.

8 აპრილს გავრცელდა ხმები, რომ მოშიმშილეთა ალაგმვის მიზნით, რუსეთიდან ე.წ. სპეციალური დანიშნულების რაზმები შემოვიდნენ. ეს ჩვეულებრივი ჯარისკაცები კი არ იყვნენ, არამედ კარგად გაწვრთნილი საჯარისო ნაწილები, რომლებიც უშუალოდ მიხეილ გორბაჩოვს ექვემდებარებოდნენ. საღამოს რუსთაველის პროსპექტზე 20 000 კაცი შეიკრიბა, რათა მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში მოშიმშილეები საკუთარი სხეულით დაეცვათ.

რუსთაველის პროსპექტის სამანქანო გზა ლენინის მოედნიდან მთავრობის სასახლემდე, დაახლოებით 200 მეტრის სიგრძეზე ჩახერგილი იყო ავტომობილებით ისე, რომ მხოლოდ ფეხით მოსიარულეს შეეძლო გავლა. სადემონსტრაციო ნაწილში ქუჩის სიგანე 40 მეტრია. კიბეებზე მწოლიარე მოშიმშილეთა დანახვა მხოლოდ ოდნავი ამაღლებით იყო შესაძლებელი. ორატორები განუწყვეტლივ ცვლიდნენ ერთმანეთს. მეგაფონების მეშვეობით, ყველას შეეძლო მათი გამოსვლების მოსმენა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მძაფრდებოდა მოახლოებული განსაცდელის შეგრძნება.

ღამე, ოთხს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მიკროფონთან მივიდა კათალიკოს-პატრიარქი ილია II ოლარში და კვერთხით ხელში. აღელვებულმა პატრიარქმა რეალური საფრთხის მოახლოება ამცნო აქციის მონაწილეებს და ურჩია, რომ დაშლილიყვნენ - იქვე, წმიდა გიორგის ეკლესიაში ელოცათ, ან შინ წასულიყვნენ.

მისი სიტყვების შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მცირე ხანში აქა-იქ გაისმა გაუბედავი შეძახილი: "არა, არ გვინდა!" ამას მოჰყვა ათასობით ხმა: "არა, არ გვინდა!" ერთი მონაწილეთაგანი მივიდა მიკროფონთან და დაიწყო "მამაო ჩვენოს" კითხვა. ყველამ დაიჩოქა, მთელი მოედანი მასთან ერთად იმეორებდა ლოცვას. შემდეგ ომახიანი სიმღერა გაისმა (როგორც გაირკვა, მღეროდნენ უსინათლო ახალგაზრდები). ზოგიერთმა დემონსტრანტმა ცეკვა დაიწყო, დანარჩენები ტაშს უკრავდნენ. არნახული შემართება სუფევდა, როცა ლენინის მოედნიდან დაძრულმა ტანკებმა ავტობუსებით შექმნილი წინაღობა გაარღვიეს - უსინათლონი კვლავ აგრძელებდნენ სიმღერას, დემონსტრანტები ისევ განუწყვეტლივ უკრავდნენ ტაშს... განწყობილება სრულიად შეიცვალა, როცა მაღალ ფარებს ამოფარებული სპეციალური რაზმები საბრძოლო შეძახილით დაერივნენ დაუცველ, უიარაღო ადამიანებს და ჯერ ხელკეტებით, შემდეგ კი პირბასრი ნიჩბებით უმოწყალოდ დაუწყეს ცემა

გერმანულიდან თარგმნა

თამარ იაშვილმა

გაგრძელება იქნება

---

# TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## No12 (in brief)
## 9 - 15 April, 1996

### "Your Husband Had not Committed any Crime, but had He Had the Opportunity He would Have Inevitably Committed It"

As it is known after the much talked of attempt on the life of the Head of the State of August 29, 1995, the officers of the Security Service arrested the group of "Zviadists" as the executors of the above crime. Among those were: Z. Vardosanidze, Z. Dvali, Sh. Ratiani, G. Gelashvili, G. Oniashvili, T. Elashvili and others (of those for some was changed the measure of detention and they were released on bail). The investigation continues for seven months already and to the lawyers' opinion no specific charge of attempting upon the life of Shev ardnadze against those people has been brought against these people. As we know, in commitment of this terrorist action alongside with the other murders are blamed the concrete people: former boss of the Security Service, high rank officials and leaders of "Mkhedrioni". In such case it is of interest what crimes are the above mentioned "Zviadists" are charged with?!

As it follows from the protest letter of the wife of one of the suspects Mr. Shota Ratiani and the statement of hi lawyer Mr. Merab Navrozahvili, the charge brought against the political prisoners are not confirmed by the respective proofs. During these seven months the rights of Mr. Shota Ratiani were violated more than once: his flat was searched without search warranty, the search protocol was not left to the members of his family, the lawyer is not allowed to get familiar with the documents envisaged by the legislation. The only thing he is allowed is to meet with hi defendant and even that is the result of persistent efforts and continuous demands. Irrespective of regular demands of the lawyer Mr. Shota Ratiani was not subjected to confrontation. The presumption of innocence in relation to him was violated - the deputy Minister of Security Service - A. Ioseliani has sentenced him in advance.

The wife of the political prisoner does not excludes the possibility that the factual authorities together with the KGB boss will spare no efforts to thrust the gravest charges on the innocent men, Shota Ratiani among them. To this testifies the fact that when Mrs. Tamar Guruli came to the City Security Department to learn at least anything about her husband, the deputy of the Department Head Mr. M. Salakaidze told her: "Your husband did not commit any crime but had he had an opportunity he would have inevitably committed it".

### Russia Extradites Meskhia instead of Giorgadze

As it became known to us, Mr. Elguja Meskhia who has been arrested under the demand of the authorities of Georgia by the Prosecutor's Office of Russia as until recently was kept in the temporary detention cell of Moscow Department of Internal affairs, on march 22 was extradited to Georgia and was placed in Zugdidi detention cell. The human Rights defenders of Russia demanded from the government of their country not to extradite Mr. Meskhia to Georgia since he might become the victim of the violence like the majority of Georgian political prisoners.

The well known emigrant newspaper "Russkaja Misl" (#4119 of March 28 - April 3) supposes that by arresting and extraditing such people as Mr. Meskhia, Russia is paying a tribute to the authorities of Georgia to neutralize its patronizing of the larger figures - such as Igor Giorgadze, who is presently residing in one of the comfortable cottages in the outskirts of Moscow and is enjoying complete safety.

### Prosecutor's Office Once More Violates the Presumption of Innocence

To the Member of the Supreme Court Board, Judge A. Aladashvili

Declaration

Today, on April 5, 1996, was appointed the special session of the Parliament devoted to the Abkhazian problem, which was transmitted by TV.

It became known to us, that a "pocket" Prosecutor of the totalitarian regime Mr. Jamlet Babilashvili openly and unceremoniously accused us, the participants of this Court hearing, in all sins including shameful loss of Abkhazia campaign, loss of territorial integrity of Georgia etc. He cannot wait at least till the Court decision is pronounced, by which he actually violates the presumption of innocence, contributes to the forming of definite public opinion, which can on its turn effect the court decision.

We express our strong protest for such behavior and demand the immediate response.

At the same time, if we are blamed in such crimes, we require the materials of military Prosecutor's Office concerning this issue (viz., Case #2293877) to be immediately included into the material of the Prosecutor's Office investigation.

Prisoners of war:
*Colonel Vakhtang Kobalia*
*Colonel Jambul Bokuchava*
Political prisoners:
*Zviad Dzidziguri*
*Nugzar Molodinashvili*
*April 5, 1996*

გაზეთის სარეგისტრაციო მოწმობის ნომერია 0441
იბეჭდება ს/ს კეგელში

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, სააბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia